„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი -განათლების მიმართულება

მარიამ კირჩხელი

გიორგი თავზიშვილი უმაღლესი განათლების ისტორიის მკვლევარი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ხიჭაური

2020

ანოტაცია

მარიამ კირჩხელის ნაშრომში „გიორგი თავზიშვილი უმაღლესი განათლების ისტორიის მკვლევარი“ განხილული არის გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა. ავტორი თემის აქტუალობის დასაბუთებისას აღნიშნავს, რომ თანამედროვე სკოლის მასწავლებლის კარიერული წინსვლის განსახორციელებელი საქმიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია გაცნობიერება იმისა, რომ განათლების მეცნიერებების დარგობრივი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია. ამ მიმართულებით შესწავლილია გიორგი თავზიშვილის კვლევები, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებული გიორგი თავზიშვილის კვლევა, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში XI-XII საუკუნეში ნაჩვენებია ის შედეგები, რომელიც მაშინდელმა საგანმანათლებლო საქმიანობამ იქონია კულტურის, საზოგადოების განვითარებაზე და აქტუალურია თანამედროვეებისათვის.ახალი მიდგომებით არის წარმოდგენილი ის პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც პირველ ქართულ აკადემიაში მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანია დღევანდელ საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: გაანალიზებულია გიორგი თავზიშვილის კვლევები, რომელიც უკავშირდება პირველ ქართულ აკადემიებს საქართველოს საზღვრებს გარეთ და საქართველოში. განხილულია აკადემიების დაარსების, ხელმძღვანელობის, სტრუქტურისა და სასწავლო გეგმებთან დაკავშირებული მასალები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: თანამედროვე მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი კომპეტენციაა-გააცნობიეროს, რომ პედაგოგიურ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალი წერტილია. ამ მიმართულებით ნაშრომში წარმოდგენილი ცნობები,მიდგომები ძველ ქართულ აკადემიებში პედაგოგიური საქმიანობის შესახებ დაეხმარება მასწავლებლს აღნიშნული კომპეტენციის მიღწევაში.

კვლევის მიზნის შესაფერისი მეთოდის საშუალებით შესაძლებელი გახდა განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის წარმოჩენა და გათვალისწინება.

Annotation

Mariam kirchkheli's work "Giorgi Tavzishvili, a researcher of the history of higher education" discusses Giorgi Tavzishvili's scientific work. While substantiating the urgency of the topic, the author notes that one of the characteristics of the career advancement activities of a modern school teacher is the realization that the field knowledge of education sciences is the starting point of his pedagogical activities. Giorgi Tavzishvili's studies have been studied in this direction, which has left a deep mark in the development of Georgian pedagogical thinking.

The scientific novelty of the research: Giorgi Tavzishvili's research studied and analyzed in the paper, for the history of higher education in Georgia in the XI-XII centuries, shows the results that the educational activities of that time had in culture,

society development and is relevant for contemporaries. The pedagogical activities that took place in the first Georgian Academy are important in today's educational life and are presented with new approaches.

Theoretical significance of the research: Giorgi Tavzishvilis's researches related to the first Georgian academies outside Georgia and in Georgia are analyzed. Materials related to the establishment, leadership, structure and curricula of the academies are discussed.

Practical significance of research: one of the competencies of a modern teacher is professional development – to realize that the knowledge accumulated in pedagogical science the starting point of his pedagogical activity. In this regard, the information presented in the paper approaches to pedagogical activities in the old Georgian academies will help the teacher to achieve competence.

Through a suitable method for the purpose of the research, it became possible to present and take into account the knowledge accumulated in the science of education.

შინაარსი

შესავალი

თავი I. პროფესიული საქმიანობის მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა, პედაგოგიური საქმიანობის საფუძველი

§1. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა - 13გვ.

§2. პირველი ქართული აკადემიები საზღვარგარეთ - 16გვ.

§2.1. ათონის ქართული აკადემია - 18გვ.

§2.2. პეტრიწონის აკადემია - 26გვ.

თავი II. პირველი ქართული აკადემიები საქართველოში

§3. გელათის, გრემის,იყალთოს აკადემიები -31გვ.

§4. ქართული აკადემიის ხელმღვანელობა და პედაგოგები - 42გვ.

§5. აკადემიების სტრუქტურა,სასწავლო გეგმები - 46გვ.

დასკვნები და რეკომენდაციები - 51გვ.

ლიტერატურის დასახელება - 54გვ.

შესავალი

თემის აქტუალობა: მასწავლებლის განათლების სფერო მუდმივ ცვლილებებსა და გამოწვევებშია. 2020 წლის ივნისში მესამედ იქნა შეტანილი ცვლილება „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით მასწავლებელთა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია. 2015 წლიდან სქემაში იცვლება რიგი საკითხები, მაგრამ უცვლელი დარჩა კომპეტენცია „მასწავლებელი აცნობიერებს, განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია“. ამ კომპეტენციის მნიშვნელობა დავინახე მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში, როცა თავად გავიარე პედაგოგიური პრაქტიკადა ამასთან თითქმის თანაზიარი ვიყავი მამიდისა და დედის პედაგოგიური კარიერის წარმატების.ვაკვირდებოდი მათ საქმიანობას და გავითავისე ის დიდი შრომა, რაც მათ გაწიეს მენტორი და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. გავაცნობიერე, რომ მასწავლებლის პროფესიული წარმატების ერთ-ერთი პირობაა პედაგოგიურ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა.

ამ მიმართულებით, როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ძირითადად აქცენტი გაკეთებულია უახლოეს წყაროებზე, მაგრამ თუ განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის შესახებ არის საუბარი, ლოგიკურია,რომ დაგროვილი ცოდნა მხოლოდ თანამედროვე წყაროებს არ გულისხმობს.ამასთან მაგისტრატურაში ჩემი სწავლის მიზნად მიმაჩნია შევძლო სხვებისთვის ახალი ცოდნის,ახალი მიდგომების მიწოდება,რომელიც დაეხმარება მათ ახალი

იდეების ჩამოყალიბებაში და განხორციელებაში. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე მომეძია იმ მკვლევართა ნაშრომები, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ქართული პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში.

მრავალთაგან არჩევანი შევაჩერე გიორგი თავზიშვილზე, რომელიც გასულ საუკუნეში პედაგოგიური მეცნიერების განვითარების სათავეში იდგა. მისი დიდი დამსახურებიდან უპირველესად დავასახელებიაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ აღდგენასა და პირველი კლასის სახელმძღვანელოდ დაწესებაში.იგი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასთან ერთად ოცი წლის განმავლობაში იყო რედაქტორი პირველკლასელთა სახელმძღვანელოსი „დედა-ენა“.

გიორგი თავზიშვილის კვლევები მრავალფეროვანია: ძველი თბილისის სწავლა განათლების კერები, თელავის სემინარია, პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, ზოგადი და პოლიტექნიკური განათლება, ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები,აკაკი წერეთელი და სახალხო განათლება, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში და სხვა.

ჩემი ყურადღება მიიპყრო გიორგი თავზიშვილის კვლევებმა უმაღლესი განათლების ისტორიაში. უმაღლეს განათლებაში რეფორმები ჩემს თვალწინ მიმდინარეობს და ვფიქრობ საჭიროა გათვალისწინება იმ გამოცდილებისა, რომელიც საქართველოში არსებობდა. ეს გამოცდილება დიდი საუნჯეა და აქარწყლებს ზოგიერთმოსაზრებას, რომ ნამდვილი უმაღლესი განათლება საქართველოში თითქოს ორი ათეული წლის წინ დაიწყო.

გიორგი თავზიშვილის კვლევა უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოშიწარმოადგენს პირველ ცდას ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის სრული და ყოველმხრივ დამუშავებული ისტორიის შექმნისაკენ. ამ მიმართულებით პირველადი წყაროების სიმცირე დამაბრკოლებელი გარემოება იყო, მაგრამ მეცნიერებმა შესძლო საკმაოდ მდიდარი მასალის წარმოდგენა.

ნაშრომში განვიხილავთ კვლევას, რომელიც ეხება XI-XII საუკუნეში საქართველოს უმაღლესი განათლების პრობლემებს.

უმაღლესი განათლების ცენტრებად ამ საუკუნეებში ითვლებოდა რამდენიმე მონასტერი, მათთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო აპარატით, რომლებსაც აკადემიებს უწოდებენ. აკადემიური ცენტრებიარსებობდა როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ უცხოეთში. ეს იყო ათონის (IX) და პეტრიწონის (X) ივერთა მონასრებთან არსებული აკადემიები. XII საუკუნეში საქართველოში შეიქმნა გელათის, იყალთოს და გრემის აკადემიები, რომელთაც დიდ სასწავლებლებსაც უწოდებდნენ. მათი საქმიანობის შესწავლა აჩენს ახალ იდეებს საკვლევი თემებისთვის.

გ.თავზიშვილის მოსაზრებები უკავშირდება პედაგოგიურ განათლებას, მნიშვნელოვანია თანამედროვეებისთვის, დავასახელებ რამდენიმეს: ინტერესისა და ყურადღების მნიშვნელობა სწავლის დროს და ამ მიზნით საკითხავი და გადასაცემი მასალის შერჩევა, უცხო ენის შესწავლა, მშობლიური ენის კარგად ცოდნა, როგორც საფუძველი პირველისა. დისციპლინის დაცვის აუცილებლობა, მასწავლებლის ავტორიტეტი, მასწავლებელთა შერჩევა განათლებისა და ზნეობრივი სისპეტაკის მიხედვით, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირება და სხვა.

კვლევაში აღნიშნულია პირველი ქართული აკადემიების სტრუქტურა, სასწავლო გეგმები, სახელმღვანელოები, პედაგოგები, კონტიგენტი.

აღნიშნული პრობლემა აქტურია დღესაც, როცა მასწავლებლის განათლება და საქმიანობა ხშირად ცვალებად მიმართულებებსა და მახასიათებლებზეა ორიენტირებული.

განათლება 2030-ის ერთ-ერთი ძირითად ხედვას გულისხმობს ცხოვრების გარდაქმნას განათლების მეშვეობით, რისი განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობად მიმაჩნია განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის წარმოჩინება და გათვალისწინება.

კვლევის მიზანი:განათლების მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნის

წარმოჩენა და გათვალისწინება გიორგი თავზიშვილის სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით.

კვლევის ამოცანები:

1. გიორგი თავზიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესწავლა;
2. გიორგი თავზიშვილის საქართველოს უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში, ანალიზი თანამედროვე ხედვით;
3. გიორგი თავზიშვილის კვლევის თანამედროვეებისათვის მნიშვნელობის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება.

კვლევის მეთოდები: წყაროების ანალიზი, სამაგიდე კვლევა, დასკვნა, დაკვირვება.

კვლევის ბაზა: წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბათუმის განათლების მუზეუმი, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებული გიორგი თავზიშვილის კვლევა, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში XI-XII საუკუნეში ნაჩვენებია ის შედეგები, რომელიც მაშინდელმა საგანმანათლებლო საქმიანობამ იქონია კულტურის, საზოგადოების განვითარებაზე და აქტუალურია თანამედროვეებისათვის.ახალი მიდგომებით არის წარმოდგენილი ის პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც პირველ ქართულ აკადემიაში მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანია დღევანდელ საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: გაანალიზებულია გიორგი თავზიშვილის კვლევები, რომელიც უკავშირდება პირველ ქართულ აკადემიებს საქართველოს საზღვრებს გარეთ და საქართველოში. განხილულია აკადემიების დაარსების, ხელმძღვანელობის, სტრუქტურისა და სასწავლო გეგმებთან დაკავშირებული მასალები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: თანამედროვე მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი კომპეტენციაა-გააცნობიეროს, რომ პედაგოგიურ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალი წერტილია. ამ მიმართულებით ნაშრომში წარმოდგენილი ცნობები,მიდგომები ძველ ქართულ აკადემიებში პედაგოგიური საქმიანობის შესახებ დაეხმარება მასწავლებლს აღნიშნული კომპეტენციის მიღწევაში.

კვლევის შედეგების გამოყენების სფერო: უნივერსიტეტის განათლების მიმართულების სტუდენტები, მოქმედი მასწავლებლები, პედაგოგიკით დაინტერესებული პირები.

კვლევის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალის, ორი თავის, ხუთი პარაგრაფის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და ლიტერატურის დასახელებისგან.

კვლევის მოკლე შინაარსი:

თავი I-განათლების მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა, პედაგოგიური საქმიანობის საფუძველია.

პირველ პარაგრაფში (გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა) აღწერილია გიორგი თავზიშვილის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა. აღნიშნულია, რომ გიორგი თავზიშვილმა 70-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიის საკითხებს. ამავე დროს იყო საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი. დიდი შრომის შემდეგ მან მოახერხა პირველი კლასისათვის იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ აღედგინა, რომლის უცვლელი რედაქტორი იყო ოცი წლის განმავლობაში.

მეორე პარაგრაფი (პირველი აკადემიები საზღვრებს გარეთ) აღწერს ძველი ქართული აკადემიების იყალთოსა და პეტრიწონი აკადემიების საზღვრებს გარეთ აღმოცენებას.

2.1 ქვეპარაგრაფში (ათონის ქართული აკადემია) მოცემულია ინფორმაცია ათონის ქართული სამეცნიერო სკოლის დაარსების შესახებ. საუბარი არის მისი აღმოცენების კულტურულ საფუძვლებზე. ათონის ივერიის აკადემიაში იღებდნენ დროის შესაფერის განათლებას და მეცნიერული კვლევის უნარს. აქ ასევე საღვთისმეტყველო მოღვაწეობის პარალელურად დიდი საერო-სამოქალაქო ხასიათის სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა. მოცემულ პარაგრაფში ასევე განხილული არის ათონის აკადემიის პედაგოგიური საქმიანობის სფერო.

2.2 ქვეპარაგრაფში (პეტრიწონის აკადემია) მოცემულია ინფორმაცია პეტრიწონის აკადემიის დაარსების შესახებ. ასევე აკადემიაშიმოღვაწე მასწავლებლებზე, მათ მახასიათებლებზე.საუბარი არის საგნებზე, რომლებსაც ასწავლიდნენ სემინარიაში, საუბარი არის ბავშვების ჯგუფებზე. ჯგუფში უნდა ყოფილიყო არანაკლებ ექვსი ბავშვისა. მოცემულ პარაგრაფში აღწერილია სწავლის სხვადასხვა მიმართულებები.

თავი II. ქართული აკადემიები საქართველოში.

მესამე პარაგრაფი (გელათის, გრემის და იყალთოს აკადემიები) აღწერს აკადემიების დაარსების საფუძვლებს. კერძოდ საუბარი არის გელათის მონასტერზე, გელათის აკადემიის დაარსების აუცილებლობაზე. გელათის აკადემიამ თავიდანვე იკისრა შეესრულებინა ჩვენში და მთელ აღმოსავლეთში მეორე იერუსალიმის როლი, უფრო მეტიც გელათი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მათ.

3.1 ქვეპარაგრაფში (გრემის აკადემია) მოცემულია ინფორმაცია გრემის აკადემიის შესახებ. გრემის აკადემიის არსებობის შესახებ მისი დროს პირველადი საბუთები არ დარჩენილა, მაგრამ გიორგი თავზიშვილი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სხვადასხვა პერიოდის ისტორიკოსები დაჟინებით აღნიშნავდნენ, რომ კახეთის ძველ ქალაქ გრემში არსებობდა უმაღლესი განათლების დაწესებულება-აკადემია.

3.2 ქვეპარაგრაფი (იყალთოს აკადემია) გვაძლევს ინფორმაციას იყალთოს აკადემიის დაარსების, აგებისა და მისი პირველი რექტორის ვინაობის შესახებ.განხილულია ვარაუდი, რომ იყალთოს აკადემიაში სწავლობდა შოთა რუსთაველი.სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გაზიარებულია მოსაზრება, რომ იყალთოს აკადემია დაარსდა არსენ იყალთოელის მიერ.

მეოთხე პარაგრაფი (ქართული აკადემიების ხელმძღვანელობა და პედაგოგები) აღწერს თუ რა პედაგოგიური თანამდებობები არსებობდა XI-XIIსაუკუნეებში საქართველოში. დაწყებითი სკოლის საერო აღმზრდელს ეწოდებოდა ოსტატი, ანდა მასწავლებელი. უმაღლესი სკოლის მასწავლებებლს ეწოდებოდა მოძღვართ-მოძღვარი. ის აკადემიის რექტორია და იმავდროულად შეიძლება იყოს მასწავლებელიც ანუ პროფესორი.

ამ პარაგრაფშივე განიხილება უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდების სწავლის დაწყების ასაკი.

მეხუთე პარაგრაფი (აკადემიის სტრუქტურა და სასწავლო გეგმები) აღწერს გეგმებსა და საგნებს, რომლებიც ისწავლებოდა აკადემიებში. XI-XIII საუკუნეში პირველდაწყებითი განათლებასაყოველთაო იყო. პირველდაწყებითი განათლების მიღების უფლება ჰქონდა ყველას, განურჩევლად სოციალური და წოდებრივი მდგომარეობისა.

პარაგრაფების მიხედვით ჩამოყალიბებულია გიორგი თავზიშვილის ის მოსაზრებები, რომელიც თანამედროვეობისათვის საყურადღებოა. სწავლების ორგანიზაციული ფორმების სასწავლო გეგმების სტრუქტურის მასწავლებლის პროფესიული პორტრეტის თვალთახედვით.

თავი I. განათლების მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა პედაგოგიური საქმიაობის საფუძველია

§1. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა

გიორგი თავზიშვილი დაიბადა 1902წლის 24მარტს. 1922 წელსს დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია და ჩაირიცხა თბილისის სემინარიაში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 1923 წელს გადავიდა მოსკოვის პირველ სახემწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩა და მუშაობდა დოცენტად. 1930წლიდან იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1933-63 წლებში იყო თსუ-ის პედაგოგიური კათედრის პროფესორი, 1933-38 წლებში იყო საქართველოს სსრ განსახკომის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1938-58 წლებში იყო პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური კათედრის გამგე.იკვლედა საქართველოს სახელმწიფო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის, კომუნისტური აღზრდის თეორიის პრობლემებს.

გიორგი თავზიშვილმა 70-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიის საკითხებს.ამავე დროს იყო საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი, ისტორიკოსი და

კრიტიკოსი. აღსანიშნავია, გიორგი თავზიშვილის როგორც რედაქტორის მოღვაწეობა.მისი რედაქტორობით გამოიცა „ი. ჭავჭავაძის რჩეული პედაგოგიური თხზულებები“, „ი.გოგებაშვილის პედაგოგიური თხზულებები“, „ი.გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები“, „ეკ.გაბაშვილის რჩეული ნაწერები ორ ტომად“ და სხვა.

გიორგი თავზიშვილი ძირითადად მუშაობდა პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე. დიდი შრომა გასწია დაწყებითი სკოლის I კლასისათვის იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ აღსადგენად, რომლის უცვლელი რედაქტორი იყო ოცი წლის განმავლობაში აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასთან ერთად.

სიყვარულითა და საქმის ცოდნით იკვლევდა ქართველ მწერალთა შემოქმედებას. მის მიერ რედაქტირებული და გამოცემულია სოფრომ მგალობლიშვილის რჩეული მოთხრობები და ეკატერინე გაბაშვილის რჩეული ნაწერების ორტომეული.

დიდი წვლილი შეიტანა საბავშვო ლიტერატურის საკითხებისა და ქართველ საბავშვო მწერლების მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

გ.თავზიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან არქივიდან დღის სინათლეზე გამოიტანა მრავალი ისტორიული დოკუმენტი და მეცნიერული ლიტერატურის დამუშავებით გამოიკვლია რა გზით მიემართებოდა განათლება და პედაგოგიური აზროვნება საქართველოში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გ.თავზიშვილის რედაქციით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური თხზულებების ერთტომეულს, რომელსაც თან ერთვის გამოკვლევა-ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები.ამ ნაშრომში მკაფიოდ წარმოაჩინა XIX საუკუნის საქართველოს განათლების სისტემის არსებული ვითარება. თანამედროვე გახდა დიდი ილიას შეხედულებები პედგოგიკის საგნის, ახალგაზრდობის აღზრდის, აღზრდის მიზნებისა და ამოცანების, სკოლისა და ოჯახის როლზე აღზრდაში.

ვრცელი მონოგრაფია მიეძღვნა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გაანალიზა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება და შემოქმედება.პუბლიცისტური და ესთეტიკური შეხედულებები. გ.თავზიშვილმა ჩაუყარა საფუძველი იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა გამოცემას და 1940წელს თავისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოსცა იაკობ გოგებაშვილის რჩეული ნაწერების ორი ტომი. ასევე იმავე წელს გ.თავზიშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „მოთხრობები“.

1952წლიდან იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის გამოცემაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ დიდ ეროვნულ საქმეში დიდი შრომა გასწია. იგი ამ გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი იყო.

გ.თავზიშვილმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა იაკობ გოგებაშვილის თანამედროვისა და მისი იდეეების გამაგრძელებლის ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობას.

თანამედროვე გადასახედიდან საინტერესოა გამოკვლევა-აკაკი წერეთელი და სახალხო განათლება, რომელშიც წარმოჩიებულია ერთი მხრივ აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედების აღმზრდელობითი მნიშვნელობა და მეორე მხრივ პოეტის პედაგოგიურ-დიდაქტიკური შეხედულებები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და განსაკუთრებით აქტუალურია დღესაც.

გ.თავზიშვილი ყურადღებითა და რუდუნებით ეკიდებოდა საბავშვო მწერლობას. ამ დარგში მის გამოკვლევებს ეკუთვნის წერილები, მონოგრაფები, ნარკვევები ვაჟა-ფშაველას, სოფრომ მგალობლიშვილს, ეკატერინე გაბაშვილის, ნინონაკაშიძის საბავშვო ნაწარმოებების შესახებ.

გ.თავზიშვილი წარმატებული მკვლევარი იყო პედაგოგიკაში, პედაგოგიურ ისტორიაში, მეთოდიკასა და დიდაქტიკაში, ლიტერატურასა და საბავშო მწერლობაში. მისი ნაშრომები ითარგმნა და გამოიცა რუსულ,ფრანგულ,გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

გ.თავზიშვილი მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა განათლების დარგისა და ზოგადად საზოგადოებისათვის.

1974 წელს პროფესორ იოსებ ბოცვაძის რედაქტორობით გამოიცა გიორგი თავზიშვილის რჩეული პედაგოგიური თხზულებების ორტომეული.

§2. პირველი ქართული აკადემიები საზღვრებს გარეთ

გიორგი თავზიშვილი ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელთა შორის არის კ.კეკელიძის-ქართული ლიტერატურის ისტორია 1923, ი.ჯავახიშვილი-ქართველი ერის ისტორია წიგნი II, დ.ჩუბინიშვილი-ქართული ქრესტომათია, საბანინის-ცხოვრება და მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელისა, ნ.მარის „იოანე წეტრიწი“-1913, შ.ნუცუბიძის და ს.ყაუხჩიშვილის - იოანე პეტრიწის შრომები-1937, ქართლის ცხოვრება გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ (1897). რუსულ-ქართული ენციკლოპედია ივ.როსტომაშვილის რედაქციით, თეიმურაზ ბატონიშვილი-ისტორია ივერიისა, ნ.ურბნელი „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, მარი ბროსე-საქართველოს ისტორიის ნაწილი I, მ.ჯანაშვილი-ქართული მწერლობა წიგნი II,არ.იოსელიანი-ქართული ივერიის მცირე ისტორია, ხელმწიფის კარის გარიგება 1920, წიგნი სააქიმოი, ანტონ კათალიკოსი სამართლის წიგნი ვახტანგ VI, ზ.ჭიჭინაძე-ქართული მწერლობა XII საუკუნეში ათონის ივერთა მონასტრის 1074 წელს ხელნაწერი აღაპებით, 1901, ჩამონათვალი ვრცელია, მაგრამ არაყოვლისმომცველი.მეცნიერები იყენებს

უცხოურ წყაროებს, საარქივო ჩანაწერებს, მონასტრებში დაცულ მასალებს.ეს წყაროები უდევს საფუძვლად ნაშრომში განხილულ საკითხებს.

ძველი ქართული აკადემიების საზღვარგარეთ აღმოცენება შემთხვევითი არ ყოფილა.უცხოეთის სამეცნიერო ცენტრები ადრევე იზიდავდა საქართველოს,განსაკუთრებით ლათინური განათლების ცენტრები,კერძოდ ბერძნული კულტურის ადრეული ცენტრი ათონი.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ათონის აკადემიის (უნივერსიტეტის)მეცნიერთა შორის მოღვაწეობს იულიონ კაბადოკიელი. რომის კულტურის ისტორიკოსი ი.ცეტაევი ბერძნულ-ლათინურ წყაროებზე დაყრდნობით იხსენებს მას, როგორც ისტორიის კათედრის გამგეს, დიდად სახელგანთქმულ პროფესორს, რომელიც წარმომავლობით იყო კაბადოკიიდან.

გ.თავზიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ რამდენადაც ისტორიული გარემოებებით კაბადოკია VI საუკუნეში უმთავრესი ქართველი ტომებით იყვნენ დასახელებული, იულიონ კაბადოკიელი ქართველი ტომის წარმომადგენელი იყო. ეს საკითხი საკვლევი პრობლემაა მეცნიერებაში. აქ აღვნიშნავთ, როგორც დიდი მეცნიერის გულისთქმას.

საინტერესოა, რომ კაზმულმეტყველების პროფესორი იულიონი ცხოვრობდა ათინაში, პატარა სახლში, რომლის მთელ მორთულობას წარმოადგენდა წიგნები, მის მეგობართა სურათები. ის ასწავლიდა აუდიტორიაში, რომელიც იყო გაკრიალებული, მარმარილოთი გაწყობილი, ჰქონდა თეატრის ფორმა, მაღლა ასაწევ სკამთა რიგებით და კათედრებით, სადაც წარსდგებოდა მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე.

X საუკუნიდან ხალკიდონის ნახევარკუნძულზე ათონის მთაზე დაარსდა იყალთოს ივერთა მონასტრის აკადემია.

XI საუკუნეში ბულგარეთში პეტრიწონის ქართულ მონასტერთან დაარსდა სამეცნიერო აკადემია.

ქართული კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უცხოეთში არსებულმა ქართულმა მონასტრებმა: შავი მთის (სირია), იერუსალიმის (პალესტინა), ულუმბოს (მცირე აზია), სინას მთისა და ჯვარისა (პალესტინა) და სხვა.

მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თავისი ფართო სამეცნიერო-საკვლევი და სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობით ათონისა და პეტრიწონის ქართული აკადემიები უეჭველად საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ

§2.1. ათონის ქართული აკადემია

ათონის ქართული სამეცნიერო სკოლა დაარსდა Xსაუკუნის დასასრულს (982-995). მისი აღმოცენების კულტურული საფუძვლები საქართველოში შეიქმნა. ტაო-კლარჯეთში დიდი განმანათლებლის წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით. გიორგი თავზიშვილის მოსაზრებით ჰაგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობის განვითარება, მთარგმნელთა და გადამწერთა სპეციალური მომზადება, ფილოსოფიური ცოდნის გავრცელება ცნობილია როგორც ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, რომლის ნიადაგზე შეიძლება ითქვას-აღმოცენდა ათონის ივერთა მონასტერთან არსებული სამეცნიერო აკადემია.

გიორგი თავზიშვილი ეყრდნობა პროფესორ კორნელი კეკელიძის კვლევას, რომელიც ათონის მონასტრის ქართულ წარმომავლობას და საქართველოს გარეთ მის დაარსებას ასაბუთებს შემდეგი მიზეზით: „ტაო-

კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩენი მწერლობის ისტორიაში“. აქ დუღდა ლეტერატურული შემოქმედება უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება IX-X საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა ეროვნულ ნიადაგზე, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი გრამატიკული წერის სტილი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში,რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ვერ დაეტია, გადალახა საზღვრები და თავისი კალაპოტიდან ფართო ნაკადებით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტებში და ათონის მთაზე, სადაც მან შექმნა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა ივერიის მონასტერის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ერთ შტოს ვებერთელა ტაო-კლარჯეთში. საეკლესიო საგანმანათლებლო ცენტრის ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვეთებოდა ტაო-კლარჯეთიდან გადმოტანილი ტრადიციებით. (კორნელი კეკელიძე,ქართული ლიტერატურის ისტორია,ტომი I:100-101).

ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლად ცნობილია იოანე მთაწმინდელის (ხურციძე) (მთაწმინდელი) თანამედროვეთა აღწერით ის იყო მხნე, ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალმშვენიერი სიკეთითა და აგებულებით, რომელიც სიყრმისა თავისით განსწავლულიიყო გონიერებითა, გულისსიწმინდით,მეცნიერებითა, ზედმიწევნით სწავლული და აღსავსე სიბრძნითა და შიშითა ღვთისითა და ყოველთა კეთილთა საქმითა.

ათონის მონასტერთან შეიქმნა კულტურული კერა-აკადემია, რომელიც ღვთისმეტყველების გარდა მეცნიერულ მუშაობას წარმართავდა ფილოსოფიის, ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და სხვა სამეცნიერო დარგებში.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად გიორგი თავზიშვილი იმოწმებს მკვლევარ დავით ჩუბინიშვილის სიტყვებს: ხოლო შემდგომეს ექთვთიმესი და გიორგი მთაწმინდელისა ესოდენ განმრავლდეს ათონის ივერთა მონასტერსა შინა ჟამთასა და ვიდრე აღებამდე თურქეთისგან კონსტანტინოპოლისა,

მარადის იყოფოდეს უმეტეს ხუთასსა სულისა მღვდელ-მონაზონნი ქართველთ, გარდა დიაკონთა და მსახურთა მონასტრისა. (დავით ჩუბინიშვილი, ქართული ქრესტომატია:161).

ათონის მონასტრისა და მისი სამეცნიერო სკოლის მუშაობის ეროვნულიხასიათისა და ქართული კულტურის მომსახურების ფაქტის შესახებ პირველი წყაროების კვლევით იზიარებს ივანე ჯავახიშვილის დასკვნას: თვით იოანესა და თორნიკეს მიერ აგებული და დაარსებული მონასტერიც კი იმ აზრით და განზრახვით იყო დაფუძნებული, რომ მხოლოდ საქართველოსთვის ყოფილიყო თავშესაფარი. გიორგი ათონის თხრობით თორნიკე იყო რაი აღმოსავლეთს ჩამოტანა სიმრავლე არა მცირედი და ენება, რათა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა და ამის მემკვიდრენი ყოველნი-(გიორგი მთაწმინდელი:ცხოვრებაი იოანესი და ეფთვიმესი. 13).

აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა უცხოეთის კულტურასთან და მეცნიერებასთან. ძლიერი სამეცნიერო-სამწერლობო საქმიანობით ათონის აკადემია საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთიანებდა.

ქართული კულტურის სამსახური აკადემიას ავალებდა საერო მეცნიერულ მუშაობას. ათონის სკოლის შრომების შესწავლა ცხადყოფს, რომ საღვთისმეტყველო მოღვაწეობის პარალელურად დიდი საერო-სამოქალაქო ხასიათის სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა.

გიორგი თავზიშვილის გამოკვლევით ათონის აკადემიამ ორსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საეკლესიო ცხოვრებასთან ერთად ახალი პერიოდი შექმნა ქართული კულტურის განვითარებაში, ისეთ დარგებში როგორიცაა: ფილოსოფია, ენა(გრამატიკა), ლიტერატურა, სამკურნალო მეცნიერებები, ჰოლემისტობაში ანუ ლიტერატურული პაექრობის დარგში, ისტორიაში, პედაგოგიკაში, კალიგრაფიაში და სხვა.

ათონში ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ძველი

ქართული მწერლობის ისტორია.ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა,რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში.

გიორგი თავზიშვილი იზიარებს პროფესორ კორნელი კეკელიძის მოსაზრებას, რომ არც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში,როგორც ათონის ივერთა მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლებოდა სხვა სახე და ხასიათი მიეღო. (კ.კეკელიძე-ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.2:106).

ნაშრომში გ.თავზიშვილი აღწერს ათონის აკადემიის უდიდესი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღაწეობას. გაგაცნობთ მოკლე ამონაწერს: ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028) იყო ივერთა მონასტრის დამაარსებლის, მწიგნობარისა და მთარგმნელის იოანეს შვილი, ბავშვობა მან კონსტანტინოპოლში გაატარა, სადაც ადრიდანვე სწავლობდა ბერძნელ ენას. თარგმნას მან მამის რჩევით დაახლოებით 975 წლიდან მოჰკიდა ხელი. მისი თარგმანები არ არის სიტყვა-სიტყვითი, ბერძნულ ტექსტებს თან ურთავს თავის ახსნას და ინტერპრეტაციას. თარგმნების უმეტესობა არის საეკლესიო ლიტერატურა. ამ თარგმანების ხელნაწერები საქართველოს მონასტრებშიც იხსნებოდა და ჩვენამდე მოაღწია. ბევრი თარგმანი შესრულებულია მხატვრული ლიტერატურიდანაც. წმინდა ექვთიმე მთაწმინდელს მიეწერება თარგმანი „სიბრძნე ბალავარის“. გთავზიშვილი ამ მოსაზრებაში ეყრდნობა დ.ბაქრაძის, ნ.მარის, შ.ნუცუბიძის, ს.ყაუხჩიშვილის კვლევებს.

სიბრძნე ბალავარის თარგმნის მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია ჩვენამდე. კ.კეკელიძის დასკვნით ექვთიმე მთაწმინდელი პირველი მწერალი იყო ჩვენში და მგონი უკანასკნელიც, რომელმაც მეცნიერული, ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით შეხედა აპოკრიფულ მწერლობას და მიმოიხილა იგი. ამ მიზნით მან ბევრი დრო და ადგილი დაუთმო ძველ საეკლესიო დოგმატების, მწერლობის სწორი განმარტებების საკითხს. ექვთიმე

ათონელმა თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის, ანდრია კრიტელის, იოანე ოქროპირის, ბასილი კესარიელის და სხვათა თხზულებები: გარდა თავისი შრომებისა რიტორიკისა და ეკლესიის ისტორიის სფეროდან ბევრი ნაშრომი მიუძღვნა საეკლესიო საკითხების კვლევას, რომელიც დღესაც სახელმძღვანელო ნაშრომებს წარმოადგენენ.

გიორგი მთაწმინდელი (1009-1065) იყო გამოჩენილი ისტორიკოსი,მთარგმნელი. ხახულის მონასტრისა და კონსტანტინოპოლში განათლების მიღების შემდეგ გაიცნო ძველ-ბერძნული კულტურა, დადიოდა იერუსალიმსა და სხვა ქვეყნებში საეკლესიო და მეცნიერულ-ლიტერატურული ნაშრომების შესასწავლად.

გიორგი მთაწმინდელმა ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრების შემდეგ დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა საეკლესიო და საერო მიმართულებით.საეკლესიო და საერო უფლებების ბერძნულიდან თარგმნასთან ერთად თარგმნიდა ზოგად ფილოსოფიურ საერო ხასიათის წიგნებსაც.ზუსტად იცავდა ორიგინალს.გიორგი მთაწმინდელი იძლეოდა მითითებებს იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა დაიწეროს ისტორია მისი ფაქტების დოკუმენტურ დასაბუთებას და ისტორიული ფაქტების ახსნის მხრივ.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად დიდია გიორგი მთაწმინდელის დამსახურება ივერიის მონასტრის ქართველთათვის შენარჩუნებისათვის. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი ბერძნმა ბერებმა ივერთა მონასტრის დაუფლების მიზნით ქართველ ბერებს ბრალი დასდეს მწვალებლობაში. კეისარმა ვითარების გასარკვევად მოიწვია ერთ-ერთი ბერი ივერიის მონასტრიდან-ეს იყო გიორგი მთაწმინდელი.მან სიტყვა წარმოსთქვა შეკრებილთა წინაშე და შესძლო სიტყვით დაეცვა ივერიის მონასტერში ქართველთა მოღვაწეობა. ეს სიტყვა იმდენად შთამბეჭდავი იყო მჭერმეტყველებით, რომ კეისარი წამოდგა, კაბის კალთაზე ეამბორა და ბრძანა: დღეიდან არავინ გაბედოს ათონზე ქართველთა შევიწროებაო.

გიორგი მთაწმინდელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს სახელმწიფო საქმეებში. იგი ათონიდან მეფე ბაგრატ მეოთხის დაჟინებული თხოვმნით ჩამოვიდა. დარბაზობაზე მეფემ უთხრა, იმად მოგიხედ დიდო მამაო, რომთუ სამეფო კარზე და ერში ნახავთ უზნეობას, გამოსწორებაში დაგვეხმარეო. გიორგი მთაწმინდელი გულმოდგინედ შეუდგა მეფის თანადგომას. მისი თხოვნით მეფე ბაგრატ IV-მ განახორციელა მემამულეთა უფლებების შეზღუდვა, არარაციონალური სახელმწიფო ხარჯების შემცირებამ ხელი შეუწყო სამეფო კარის ზნეობრივ გაწმენდაში.

შემონახულია ცნობები ქართველი ახალგაზრდობის განათლების განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ.

ათონის ივერთა აკადემიაში ინახებოდა დიდი ბიბლიოთეკა უნიკალური

ხელნაწერებისა, რომელთა დაცვის საქმე და ბიბლიოთეკის იშვიათი ფონდებითსარგებლობის წესი მკაცრად არის რეგლამენტირებული.

გიორგი თავზიშვილი იმოწმებს დავით ჩუბინიშვილის ქართულ ქრესტომათიაში მოცემულ ინფორმაციას იმის თაობაზე,რომ ბიბლიოთეკით სარგებლობისა და მისი წესის დაცვის შესახებ, სადაც აღწერილია, რომ ქართულ წიგნთა დაცვისათვის წესი წმინდა მამათაგან იყო დაწესებული,რათა არავინ არ წაიღოს არც ერთი ეგზემპლარი წიგნისა, ვისაც აქვს სურვილი, მივიდეს მონასტერში და დაუბრკოლებლად გამოიწეროს ის წიგნი, რომელიც სურდეს. წიგნები დაწერილი იყო ეტრატებზე, იყო გამძლე და მკაფიოდ იკითხებოდა.

განსაკუთრებით აღნიშნეს მკვლევარი ათონის აკადემიის პედაგოგიური საქმიანობის სფერო. ათონიდან საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდები მოღვაწეობდნენ როგორც საეკლესიო, ასევე საერო საქმეში., განსაკუთრებით სამედიცინო და განათლების დარგებში.

XI-XII საუკუნეებში საქართველოში მრევლთა დაწყებითი და სამოქალაქო სკოლა არსებობდა, სადაც ათონის აკადემიებში განსწავლულები მოღვაწეობდნენ.

გიორგი ხუცეს-მონაზონის აღწერით გიორგი მთაწმინდელმა კარგად იცოდა პედაგოგიკა, ბავშვის ასაკობრივი განვითარების პრინციპები, ბავშვისთვის გარემოს მნიშვნელობა, სწავლების ხერხები, ერთი ასაკის ობოლი ბავშვი შეკრიბა და ათონზე წაიყვანა, სადაც კიდეც კვებავდა და კიდეც ასწავლიდა.

გიორგი მთაწმინდელთან ერთად მოწაფეები ჰყავდათ და სასწავლო მუშაობას ეწეოდნენ მისი გაზრდილები.

საყურადღებოდ მიმაჩნია გიორგი თავზიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ათონის აკადემიის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერებს: კორნელი კეკელიძეს, ნიკო მარს, ალ.ცაგარელს, ივ. ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს და სხვებს, მაგრამ მისი დიდი წიგნთსაცავი და ხელნაწერები არ არის სათანადოდ შესწავლილი. ათონის აკადემიის ყოველმხრივი შესწავლა და ღირსეული შეფასება ჯერ კიდევ წინაა.

ეს შეხედულება გამოითქვა 1948 წელს, მაგრამ აქტუალურია დღესაც. რამდენიმე წელია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის დიდი მცდელობით შეიქმნა მეცნიერთა ჯგუფი ათონის მონასტრის შესასწავლად, მათ შორის აკადემიისა. ვფიქრობთ, ამ მამულიშვილური საქმის განხორციელების შემდეგ ახალი ფურცელი გადაიშლება ათონის აკადემიის ისტორიაში.

ამრიგად, ათონის ქართული სამეცნიერო სკოლა დაარსდა X საუკუნის დასასრულს, მისი აღმოცენების კულტურული საფუძვლები შეიქმნა საქართველოში, ტაო-კლარჯეთში დიდი განმანათლებლის წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკოლაში განვითარდა სხვადასხვა მიმართულება: აგიოგრაფიული და საისტორიო, ფილოსოფიური, მთარგმნელობითი, გადამწერთა, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა ათონის აკადემია.

ათონის აკადემიის დაარსების საფუძველია, ტაო-კლარჯეთის სკოლის მაღალგანვითარება, რომელიც გავრცელდა საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ IX-X საუკუნიდან ცნობილი კულტურის საგანძურის უმეტესი ნაწილი ტაო-კლარჯეთშია შექმნილი.

ათონის ივერთა მონასტერი დააარსა იოანე მთაწმინდელმა (ხურციძე). სამეცნიერო მუშაობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განუსაზღვრელია წმინდა ექვთიმე მთაწმინდელისა და წმინდა გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი, რომელთა თარგმნებიდა შრომები მნიშვნელოვანია დღესაც.

ათონის აკადემიაში ღვთისმეტყველების გარდა სამეცნიერო მუშაობა წარიმართებოდა ფილოსოფიის, ენის(გრამატიკის), ისტორიის, ლიტერატურის და სხვა სამეცნიერო დარგებში.

ათონში შეიქმნა, ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ათონზე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო, საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა წარსულში.

მნიშვნელოვანია ათონის აკადემიის პედაგოგიური საქმიანობის სფერო. იკვეთება პედაგოგიკის ცოდნა, ბავშვის ასაკობრივი განვითარების პრინციპები, გარემოს მნიშვნელობა ბავშვის სწავლებაში, სწავლების ხარისხები.

განსაკუთრებით გიორგი მთაწმინდელის შეხედულებებია აღსანიშნავი. ათონში განსწავლულები საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას, რის შედეგადაც XI-XII საუკუნის საქართველოში მრავალი დაწყებითი და სამოქალაქო სკოლა არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ათონის ივერთა მონასტერს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი იკვლევდა, დღემდე არ არის შესწავლილი მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნები.

აქტუალურია მკვლევარ გიორგი თავზიშვილის შეხედულება იმის თაობაზე, რომ ათონის აკადემიის, ზოგადად ათონში საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლა აუცილებელი და საჭირო საქმეა ქართული კულტურისა და განათლებისათვის.

მიგვაჩნია, რომ 1948 წელს მკვლევარ გიორგი თავზიშვილის გამოთქმული შეხედულება აქტუალურია დღესაც.

§2.2. პეტრიწონის აკადემია

გიორგი თავზიშვილის კვლევაში გაზიარებულია პეტრიწონის მონასტრის დაარსების შესახებ ცნობები: მონასტერი ააშენა გრიგოლ ბაკურიანმა 1083 წელს. გრიგოლ ბაკურიანი მდიდარ ოჯახში აღიზარდა. უმაღლესი განათლება მიიღო ბიზანტიაში. მაკედონიასა და სომხეთში მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეჭირა. ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენის მიერ გრიგოლ ბაკურიანი დანიშნული იქნა დასავლეთ ბიზანტიის შინაგანი მცველი ჯარების უფროსად. 1083 წელს იმპერატორმა მას უბოძა სოფელი პეტრიწი ბულგარეთში, სადაც მან იმავე წელს ააგო ქართველთა ანუ ივერიელთა მონასტერი. გრიგოლ ბაკურიანი დაიღუპა 1086 წელს პაჩენეგებთან (პაჭანიკებთან) ბრძოლაში.

პეტრიწონის მონასტერი აიგო იმ პერიოდში, როცა ბერძნები ავიწროებდნენ ქართველებს, განსაკუთრებით ათონის მთაზე, სამონასტრო მეურნეობის დაუფლების მიზნით. ეს იცოდა გრიგოლ ბაკურიანმა და მის მიერ აგებული მონასტერი განაკუთვნა მხოლოდ ქართველებს. ივანე ჯავახიშვილი მონასტრის ტიპიკონის განხილვის შედეგად წერდა, რომ სწორედ ქართველთა

ბერძენთაგან გათიშვის გამომხატველია გამოჩენილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის მკაცრი დადგენილება, რომელიც მან თავის დაარსებულ, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში შეიტანა, რომ მონასტერში ბერძნები არასოდეს შეეშვათ ბერად. შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ბერძენი ყოფილიყო, ისიც მხოლოდ ბერძნულის მწერლად. (ივ. ჯავახიშვილი; ქართველი ერის ისტორია ტომი II: 478).

სამეცნიერო აკადემია პეტრიწონის მონასტერთან მოეწყო მას შემდეგ, რაც სავარაუდოდ პირველ რექტორად დაინიშნა გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც სოფლის (პეტრიჩი) თუ მონასტრის (პეტრიწონი) ახელიდან პეტრიწონული ანუ პეტრიწონი ეწოდა.

ამ მონასტრის ერთ-ერთი მკვლევარი ნიკო მარის გადმოცემით იოანეს მეცნიერული მუშაობა დაუწყია 1069წელს, მისი მუშობა გაძლიერებას იწყებს 1083წლიდან, როცა იგი გადავიდა პეტრიწონში და იწოდა იოანე პეტრიწად.

იოანე პეტრიწმა ქართული კულტურის აღორძინების საქმეში რეფორმატული როლი ითამაშა. მან საფუძვლიანად განამტკიცა მისი წინამორბედების მიერ ჩაყრილი ის პირველი საფუძველი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის კლასიკური პერიოდი.

იოანე პეტრიწი უმთავრესად ფილოსოფიური მიმართულებით მუშობდა. მან განათლება მიიღო კონსტანტინოპოლის ბიზანტიის აკადემიაში, რომელიც განახლებული იყო 1044-1046 წლებში იმპერატორ კონსტანტინე მონომახის დროს. მიიღო საფუძვლიანი განათლება, გადათარგმნა არისტოტელეს ორი თხზულება: გარდა ამისა თარგმნა ნემესიოს ემესელის თხზულება: ბუნებისათვის კაცისა და პროკლე დიადოხის: კავშირნი, რომელსაც დაერთო ორიგინალური შრომა: განმარტებანი პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის.

გარდა ამისა აქვს მრავალი სხვა თარგმანიდან ორიგინალური შრომები ისტორიიდან, გრამატიკიდან, ასტრონომიიდან და სხვა.

როგორც ცნობილია, იოანე პეტრიწს კონსტანტინეპოლში ჰქონდა თავის მსოფლმხედველობაში (ნეოპლატონიზმი) არასწორი მიმართულებები სარწმუნოებასთან მიმართებაში, რისთვისაც გამოაძევეს კონსტანტინეპოლიდან, შემდგომ ცვლილებები განუცდია მის შეხედულებებს, ეს საკითხი ჩვენი კვლევის საგანი არ არის, ამის თაობაზე არ არის მასალები გიორგი თავზიშვილის შრომაში. იგი განიხილავს იოანე პეტრიწის მოღვაწეობას როგორც აკადემიის რექტორისა.

გრიგოლ ბაკურიანმა და იოანე პეტრიწმა, რომელიც აკადემიას ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ კარგად იცოდნენ, რომ აკადემიური მუშაობისათვის ქართული ენის მცოდნე პირები ბულგარეთში ნაკლებად იქნებოდნენ და ამიტომ გადაწყვიტეს გაეხსნათ მოსამზადებელი საფეხური-სემინარია, მონასტრის წესდებაში (მუხლი13) კორნელ კეკელიძის კვლევით და ახალი ქართული თარგმნით წერია: დაგვიდგენია რათა უწვერულვაშო ბავშვები მოთავსებულ იქნან წმინდა ნიკოლოზის მონასტერში, სადაც მათ აჭმევენ, ასმევენ და ერთი ვინმე მოხუცებული მღვდელთაგანი, სავსე სათნოებითა და ცოდნითა უხელმძღვანელებს და ასწავლის საღმრთო წერილს. ამ მოხუცებულ მღვდელს უნდა ჰყავდეს არანაკლებ ექვსი ბავშვისა, რომელთაც მონასტერი მისცემს საზრდოს და ტანსაცმელს. ისინი უნდა დარჩნენ იქ სანამ სრულად არ განიწვრთებიან და სამღვდელო ხარისხისათვის არ მოემზადებიან. როდესაც წამოიზრდებიან და წვერს გაუშვებენ ღირსნი მღვდელობისა უნდა განწესებულ იქნენ სემინარიიდან. თუმცა ექვსზე ნაკლები მოწაფე იქ არას შემთხვევაში არ უნდა იყოს. სემინარიაში როგორც ამონაწერიდან ჩანს, შედიან უწვერულვაშო ბავშვები, ამით სემინარიაში მისაღები ასაკი ნათელია. წესდებაში გარკვეულია აგრეთვე სემინარიაში ყოფნის პერიოდი ანუ სასწავლო დრო. ესაა-დრო სრულ გაწვრთნამდე და სამღვდელო ხარისხის მიღებამდე.

აღმზრდელ-მასწავლებლად არიან წინასწარ შერჩეული პირები, რომლებიც უნდა გამოირჩეოდნენ სათნოებით და ცოდნით. ესაა მასწავლებელ აღმზრდელის მახასიათებელი, რომელიც ასე საჭირო და მნიშვნელოვანია თანამედროვეობისათვის.

სემინარიაში ასწავლიდნენ წერას, კითხვას, საღვთო წერილს, გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, სავარაუდოდ მუსიკასაც. მეცადინეობა მიმდინარეობდა ჯგუფურად. ჯგუფში არანაკლებ ექვსი ბავშვისა, ყოველ ჯგუფს ჰყავს საკუთარი ხელმძღვანელ-მასწავლებელი. კურსის დამთავრების შემდეგ ზოგი მიდიოდა მღვდლობის ხარისხისკენ, ზოგი საერო დაწესებულებებში, სკოლებში და სხვაგან.

უცხოელი მკვლევარის ლუი პეტი პეტრიწონის აკადემიასთან არსებული ქართული სემინარიის შესახებ წერს: ეს მეტად იშვიათი მაგალითია და შეიძლება ეს სემინარია მთელს ბიზანტიაში (იმპერიაში) ერთადერთი სემინარია იყო, სიტყვის ახლანდელი მნიშვნელობით (ქართული ლიტერატურის ისტორია ტ I: 112).

აღნიშნული კვლევის შედეგები ჩემი თვალსაზრისით უაღრესად საერო ინფორმაციის შემცველია, რადგან ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში არსებობდა ქართულ აკადემიასთან მოქმედ სემინარიაში ასაკობრივი ჯგუფები, განსაზღვრული კონტიგენტით(არანაკლებ 6 ბავშვისა) და თითოეულ ჯგუფს (ახლანდელი გაგებით კლასს) ჰყავს თავისი ხელმძღვანელ-მასწავლებელი (ახლანდელი გაგებით კლასის დამრიგებელი). მოცემულია მასწავლებლის ძირითადი მახასიათებელი: სავსე ცოდნითა და სათნოებით.

ვფიქრობ ამ მონაცემების გათვალისწინება გაამდიდრებდა ქართულ პედაგოგიურ სახელმძღვანელოებს.

სემინარია, როგორც აღვნიშნეთ, ამზადებდა კადრებს პეტრიწონის აკადემიაში სამეცნიერო მუშაობისათვის. სამეცნიერო მუშაობა მოიცავდა შემდეგ სფეროებს: ფილოსოფია, ისტორია, ენა(გრამატიკა), ასტრონომია, ბიბლიოგრაფია, რელიგია, ჰაგიოგრაფია და სხვა.

განუზომელია პეტრიწონის აკადემიის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. ამ აკადემიამ შექმნა სრულიად დამოუკიდებელიეროვნული მიმართულება ჩამოთვლილ მეცნიერებათა დარგებში.

პეტრიწონის აკადემიამ გამოიყვანა ქართულ მეცნიერული აზრის განვითარება ბერძნულ-ბიზანტიური მეურვეობიდან და მტკიცედ დააყენა იგი ეროვნული განვითარების გზაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ იყო ისეთი შეხედულებებიც, რომელიც მხარდაჭერას არ ჰპოვებს რელიგიურ მსოფმხედველობასთან დაკავშირებით. ეს საკითხები გიორგი თავზიშვილს არა აქვს განხილული.

ამრიგად, საზღვრებს გარეთ ბულგარეთში გრიგოლ ბაკურიანის მიერ სოფელ პეტრიწში 1083წელს აიგო მონასტერი, რომელთანაც გაიხსნა აკადემია და სემინარია. აღსანიშნავია, რომ მონასტრის ბერები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ქართველები, დასაშვები იყო ერთი ბერძენი, ისიც გადამწერი. ამგვარი მიდგომის განზრახვა იყო დაეცვათ მონასტერი ბერძენთა მოსალოდნელი მონასტრის შევიწროების მცდელობისგან.

პეტრიწონის აკადემია დამოუკიდებელი ეროვნული მიმართულების მატარებელი იყო, სადაც სწავლება და სამეცნიერო კვლევა-ძიება წარიმართებოდა შემდეგი მიმართულებით: ფილოსოფია, ენა(გრამატიკა), ასტრონომია, ბიბლიოგრაფია, რელიგია, ჰაგიოგრაფია და სხვა.

აკადემიისათვის კადრების მოსამზადებლად დაარსდა სემინარია, სადაც ასწავლიდნენ წერას, კითხვას, საღვთო წერილს, გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, მუსიკას. შექმნილი იყო ჯგუფები, რომელსაც ჰყავდა ხელმძღვანელ-მასწავლებელი. დაწესებული იყო ხელმძღვანელ-მასწავლებლის მახასიათებელი - სავსე ცოდნითა და სათნოებით.

პეტრიწონის სემინარია თანამედროვეობას ეხმიანება მოსწავლეთა განსაზღვრული ჯგუფების შექმნით, ჯგუფში კონტიგენტის განსაზღვრით, სასწავლო დროის ხანგრძლივობის განსაზღვრით, ჯგუფის ხელმძღვანელ-მასწავლებლის (ახლანდელი გაგებით კლასის დამრიგებელი) დაწესებით და მისი შერჩევის მახასიათებლის (ცოდნა და სათნოება) მინიშნებით, რაც თანამედროვეებისათვის აუცილებელი და საჭირო თვისებებია.

თავი II. პირველი ქართული აკადემიები საქართველოში.

§3. გელათის, გრემის და იყალთოს აკადემიები

საქართველოს შიგნით აკადემიების კვლევის საფუძვლად გიორგი თავზიშვილი იყენებს წყაროებს, რომელიც ნაშრომის დასაწყისში მოვიხსენიეთ. გელათის აკადემია არის პირველი უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება საქართველოში. ის დაარსდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდში, მისი მაღალი მატერიალური და კულტურული განვითარების საფუძველზე.

მკვლევართა აზრით, გელათის აკადემიის დაარსება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. საქართველოს გონებრივი პოტენციალის გამაერთიანებელი ცენტრი სჭირდებოდა, რადგან ინდივიდუალურად და ურთიერთისგან იზოლირებულად წარმართული სამეცნიერო მუშაობისთვის ნაკლებ ეფექტური იყო. საზღვარგარეთ არსებული აკადემიები ქვეყნის შიგნით კულტურული განვითარების სწრაფი ზრდის პირობებში ვეღარ ასრულებდნენ საგანმანათლებლო ფუნქციას. აუცილებელი შეიქმნა საქართველოშივე დაარსებულიყო სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობის ცენტრები.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი, განსწავლული ადამიანი, ყველაზე ცხადად გრძნობდა სამეცნიერო ცენტრების საჭიროებას.

გიორგი თავზიშვილი „ქართლის ცხოვრებიდან“ იღებს ციტატებს ზემოთ მოყვანილი მოსაზრების დასასაბუთებლად: მოიგონა აშენება საღმრთო მან, ადგილისა ყოვლად შვენიერისა და ყოვლითურთ უნიკალურისა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ტაძარი ყოვლადწმიდისა და უფროსათ კურთხეულისა ღვთისმშობლისა, რაბამ რამე აღმატებულია ყოველთა წინანდელთა ქმნილებისა, რომელი ზესთა ჰმატს შვენიერებასა ყოველთასა სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თან მოწმეთ ჰქონან თვალნი ყოველთა ხორციელთა მხედველთაგანი. (ქართლის ცხოვრება1897:353).

ეს იყო გელათის მონასტერი, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, რომელსაც 1105 წელს ჩაეყარა საფუძველი. იგი შენდებოდა ოცი წლის განმავლობაში, მაგრამ მზად იყო დავით აღმაშენებლის სიცოცხლეშივე 1125 წლისათვის.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერთან დაარსა გელათის აკადემია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით დავით მეფე მეტად განათლებული და ბრძენი მეფეა. წიგნი მისი განუყოფელი მეგობარია. ის „წიგნთა შინა ცხოველი არს და მათ შინა იძვრის, იგინი იყვნეს მისსა საზრდელ ყოველთა გემოვან და სასმელი ტკბილი და საწადელი. მას არა მარტო ნადირობასა შინა წიგნი აქუნდელის ხელთა, არამედ ლაშქრობის დროსაც. წიგნები ეტვირთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთა. აღწერილია ერთი ეპიზოდი, ავჭალასთან 300 კაცით, თურქთა დიდი ქარავანის მოლოდინში,შეექცა კითხვასა და ესოდენ წარიტყვენა მისგან გონებითა, რომ ვიდრემდის ხმა რაიმე კვლისა შემოესმა ყურთა. მეფე მყისვე შთაბრიალდა ვითარცა არწივი და დააბნია ვითარცა კაკაბი. ამოსწყვიტა თურქნი. „რომელ ესე-ვითარისა საქმესა შინა და ესოდენ უცალოსა წიგნივე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ ესოდენ. (ქართლის ცხოვრება 1897:368-370).

ეს წიგნები დასაშვებია, რომ იყო ლოცვანი, რომლის ძალითაც წმინდა მეფე აღწევდა წარმატებებს.

წმინდა მეფის წიგნებითა და მეცნიერებით გატაცება იყო ერთი უძლიერესი იარაღი საქართველოს აღდგენისა, აშენებისა და გაერთიანებისა. მას განსაკუთრებით უყვარდა კითხვა, ზოგიერთი წიგნი 24-ჯერ წაუკითხავს. კითხულობდა ღრმა დაკვირვებით, მსჯელობით და წაკითხულის მეცნიერული ანალიზით. წარსულის სერიოზული ცოდნით იშვიათი გამჭრიახობითირკვევდა და ქმნიდა მომავლის რეალურ პრაქტიკას. სწორედ ამას მიეწერება მისგან გელათის აკადემიის გახსნის ორგანიზება. ტაძრის გვერდით ჩაუყარა საფუძველი აკადემიის დაარსებას. იზრუნა სამენიერო კადრების შემოკრებაზე: „მუნვე შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველითა სათნოებითა. არა თვისთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანასა კიდეცა სადათცა ესმა ვიუთმე სიკეთე და სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღვსობა. იძია და კვალად გამოიძია, მიიყვანა და დაამკვიდრნა მას შინა მამული ლიპარიტეთი, უმკვიდროდ დარჩომილი: (ქართლის ცხოვრება 1837: 353).

ეს იყო ბრძნული ნაბიჯი, რადგან მარტო საქართველოს შიგნით არსებული იმდროინდელი მეცნიერებით ძნელ იქნებოდა გამკლავებოდა გელათის აკადემიის წარმატებულ საქმიანობას. ქვეყნის გარეთ ქართველთა მიერ დაარსებულ აკადემიებში მოღვაწეებს დიდი და მდიდარი გამოცდილება და ავტორიტეტი ჰქონდათ. ეს იყო ათონის აკადემია, პეტრიწონის აკადემია, კონსტანტინოპოლის მაგნავრის ბიზანტიური აკადემია.

მოწვეულთა შორის იყვნენ: არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწონელი, იოანე ტარისჭისძე, იეზიკელი, თეოფილე და სხვა.

დავით აღმაშენებელმა რექტორად მოიწვია იოანე პეტრიწონელი, რომელმაც აკადემიის ირგვლივ შემოიკრიბა სწავლულნი და მეცნიერნი და მოძღვართ-მოძღვარნი.

გელათმა სამეცნიერო მუშაობა დაიწყო. ქართლის ცხოვრების შეფასებით წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა, მეორედ იერუსალიმად,

სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღვარად სწავლებისად, სახლად ათინად, ფრიად უადრესს მისად.

გელათის აკადემიამ თავიდანვე იკისრა შეესრულებინა ჩვენში და მთელ აღმოსავლეთში მეორე იერუსალიმის და ათონის როლი, უფრო მეტიც გელათი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მათ. გიორგი თავზიშვილს მოჰყავს იოანე შავთელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ კმარა გელათის, როგორც მაღალი ცივილიზაციისა და განათლების ცენტრების შედარება იერუსალიმთან და ათონთან და მსგავსების მესამე ცენტრად იღებს „რომს და მთელ ელადას“.ნაშრომში ჩავრთეთ იოანე შავთელის სტრიქონები.

„ახალო რომო შენთვის თქვეს რომო

უფროს იქმნესო ყოფთა ყოველთა

ვნატრი ელადსა, მათ გელათსა“. (აბდულ მესიანი: 50).

გელათის აკადემიამ შექმნა ჩვენში პირველი ნამდვილი ტრადიცია საეცნიერო და საკვლევ-საძიებო მუშაობისა, რომელიც ემსახურებოდა უცხოეთის პროგრესულ აზროვნების შესწავლა თარგმნას, ქართული სააზროვნო კულტურის შექმნასა და განვთარებას.

§.3.1 გრემის აკადემია

გრემის (კახეთის) აკადემიის არსებობის შესახებ მისი დროის პირველადი საბუთები არ დარჩენილა, მაგრამ აღნიშნავს გიორგი თავზიშვილი - შემდგომი დროის ისტორიკოსები: ბატონიშვილი თეიმურაზი, მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნ.

ურბნელი და სხვებიც დაჟინეით აღნიშნავდნენ, რომ კახეთის ძველ ქალაქ გრემში არსებობდა უმაღლესი განათლების დაწესებულება-აკადემია.

ბატონიშვილ თეიმურაზს მოჰყავს ტიმოთე მიტროპოლიტის სიტყვები, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობის დროს გამოჩენილ მწერალთა რიცხვში ასახელებს იოანე ჭირჭიმელს, რომელიც გრემის სკოლაში ასწავლიდა მოწაფეთა ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას და ელინურ ენას, იგი ღრმად გამომეტყველი იყო და უწყოდა ელინური ზედმიწევნით. ასურული და არაბული, ესე აღიზარდა ათონის სასწავლებელსა შინა. (მარი ბროსე, საქართველოს ისტორია I ნაწილი 154-155).

ამ ინფორმაციაში საიტერესოა, თვით გრემის აკადემიის არსებობის აღიარება, რასაც ეთანხმებიან თეიმურაზ ბატონიშვილი, შემდეგ კი მარი ბროსე, ალექსანდრე ხანანაშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვები.

ნ.ურბნელის გადმოცემით XII საუკუნეში ქართლ-კახეთშიმარტო სამი აკადემია იყო. (ურბნელი-დავით აღმაშენებელი და მისი დრო: 90).ურბნელი გულისხმობს იყალთოს, გრემის და ტფილისის აკადემიებს.

მოსე ჯანაშვილი ფიქრობს, რომ გრემში აკადემია არსებობდა და მის დაარსებას იყალთოს აკადემიის დამაარსებელს არსენ იყალთოელს მიაწერს, მანარსენ ვაჩნაძე იყალთოელმა იყალთოსა და გრემში დაარსა სასწავლებლები.

გიორგი თავზიშვილი გრემის აკადემიის არსებობის შესახებ ნ.ურბნელის, მ.ჯანაშვილის კვლევებთან ერთად განიხილავს ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოსულ „რუსულ-ქართულ ენციკლოპედიაში“ (1898) გრემის აკადემიის შესახებ ინფორმაციას: გრემი განთქმული ალაგი ყოფილა წინათვე, რომ კახეთის მეფეებს იგი აურჩევიათ სატახტო ქალაქად და მართლაც ისტორიით ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა სხვათა შორის ერთი უმაღლესი სასწავლებელი -აკადემია გრემშიც გახსსნა, რომელიც უმაღლეს ხარისხამდის აყვავდა დიდებულის თამარ მეფის დროს.

ხალხურ სიტყვიერებებში მრავლადაა ცნობები გრემის აკადემიის შესახებ. არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ არსენ იყალთოელის მოწაფემ იოანე ტარიჭისძემ საქართველოში დაბრუნების (1114) შემდეგ რომელიღაც სასწავლებელი დაარსა. (მ.ჯანაშვილი ქართული მწერლობა II). მიხ.საბანინი აღნიშნავს, რომ იოანე ტაიჭისძე მეფის მიერ დანიშნულ იქნა ერთი სასწავლებლის უფროსად.

გიორგი თავზიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს სასწავლებელი გრემის აკადემია იყო. შესაძლებელია გელათიდან არსენ იყალთოელის წამოსვლისას წამოსულიყო მისი მოწაფე იოანე ტაიჭისძეც და ცალკე სკოლა დაარსებინა.

არსებობს მოსაზრებები (ნ.ურბნელი, ნ. ლომაია, ა. იოსელიანი), რომელიც მიიჩნევს, რომ აკადემიები არსებობდა თბილისში, რომლის რექტორი იყო გრიგოლი. იყო აკადემია მარტვილშიც, მაგრამ ამ მოსაზრების დამადასტურებელი წყაროების უქონლობის გამო გიორგი თავზიშვილი ამ საკითხებს არ განიხილავს.

§3.2 იყალთოს აკადემია

გიორგი თავზიშვილი წყაროების ანალიზის საფუძველზე იზიარებს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ იყალთოს აკადემიის შესახებ პირველად წყაროებში: ქართლის ცხოვრება, წმიდათა ცხოვრების აღწერები, სიგელ-გუჯრები, ანდერძები და სხვა დოკუმენტებში არაფერია თქმული,მაგრამ

შემდგომდროინდელი მასალები და ცნობები, აგრეთვე ზეპირი გადმოცემები ეჭვს არ ტოვებენ მისი არსებობის სინამდვილეში.

გიორგი თავზიშვილი წყაროებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ იყალთოს დიდი სკოლა-აკადემია გელათის აკადემიის შემდეგ დაარსდა, რადგან ის ადრე რომ ყოფილიყო დაარსებული ქართლის მემატიანე და პოეტი იოანე შავთელი გელათის მნიშვნელობის აღწერისას არ დაივიწყებდა თავისი ქვეყნის სხვა აკადემიასაც.

იყალთოს აკადემიის დაარსება და მისი პირველ რექტორობა მიეწერება ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს არსენ იყალთოელს. მას წიგნში ქართლის ცხოვრება იხსენიებს, როგორც მთარგმნელს და მეცნიერს ბრძენთა და ქართველთა ენითა და განმანათლებელს ყოველთა ეკლესიათა.

არსენი, გვარად ვაჩნაძე, დაბადებულია კახეთში, იყალთოში, აქედანაა მისი იყალთოელად მოხსენიება. განათლება მიუღია კონსტანტინოპოლის მაგნავრის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა შავიმთის ქართველთა მონასტერში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდა გამოჩენილი მეცნიერი, მწიგნობარი ეფრემ მცირე. აქ არსენ იყალთოელმა თარგმნა სამი ჰაგიორაფიული თხზულება. ეფრემ მცირეს გარდაცვალების შემდეგ 1103 წელს იგი კონსტანტინოპოლში ბრუნდება, როგორც დამოუკიდებელი მკვლევარი, ფილოლოგი. აქ მან დაჰყო 10წელი. 1114წელს არსენ იყალთოელი დაუახლოვდა მეფეს და მის მოძღვრადაც ითვლებოდა.

არსენ იყალთოელმა სამეცნიერო მოღვაწეობა გელათის აკადემიაში დაიწყო, საიდანაც იოანე პეტრიწონელთან იდეოლოგიური უთანხმოების გამო გელათიდან წამოვიდა თავის სოფელ იყალთოში და დაარსა აკადემია. დავით ჩუბინიშვილის ქრესტომათიაში გვ.168 ვკითხულობთ: არსენ იყალთოელს აქვნდა დიდი სასწავლებელი შკოლა კახეთსა მონასტერსა შინა ხელთ-ექმნელისა ხატისა ზემორე სოფლისა იყალთოდ წოდებულისა.

იყალთოს აკადემიის აგებას ხელმძღვანელობს მ.საბანინი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ნ.ურბნელი. იყალთოს აკადემიის აგებასა და ხელმძღვანელობას

მიაწერენ არსენ იყალთოელს. თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა, რომ კახეთში სოფელ იყალთოში ღირსეულმა მეცნიერმა არსენ იყალთოელმა დაარსა დიდი სასწავლებელი-აკადემია, სადაც ასწავლიდა ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ენას და სხვათა.

იყალთოს აკადემიის არსებობასადასტურებს აგრეთვე ალ.იოსელიანი, ალ.ხახანაშვილი, მ.ჯანაშვილი, ზ.ჭიჭინაძე.

ალ.ხახანაშვილი წიგნში ქართული მწერლობა ნაწილი II : 21 წერს: დავით აღმაშენებლის დროს ერთმა არსენის სკოლამ იყალთოში აღზარდა მთელი რიგი შესანიშნავი მოღვაწეებისა და სხვათა შორის პოეტი შოთა რუსთაველი.

გიორგი თავზიშვილი ამ ცნობასთან მიმართულებაში წერს, რომ წერილობითი ცნობები იყალთოს აკადემიაში შოთა რუსთაველის სწავლის შესახებ არ არსებობს, მაგრამ მრავალი ზეპირი გადმოცემის მიხედვით ფაქტის დადასტურება მაჩვენებელია იმისა, რომ იყალთოს აკადემია ხალხის თვალში ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ შოთა რუსთაველიც იქ აღზრდილად იქნა მიჩნეული.

იყალთოს აკადემიის დაარსების თარიღის შესახებ არ არის ზუსტი ცნობები. სავარაუდოდ იგი დაარსებულია არსენ იყალთოელის სიცოცხლის ბოლო წლებში, რადგან უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ 1114წელს იგი მოღვაწეობას იწყებს გელათის აკადემიაში, რასაც ადასტურებს გელათის ხელნაწერების ნუსხა 25, სადაც ინახება „დიდი სჯულის კანონი“-თარგმნილი არსენის მიერ.

იყალთოს აკადემიას უთუოდ დიდი როლი აქვს შესრულებული ქართული განათლებისა და კულტურის განვითარებაში, რასაც ხალხში დღემდე შემორჩენილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ცხადყოფენ.

საჭიროდ ვცანი ნაშრომში ჩამერთო ნ. გაგოშვილის სტატია, რომელიც შეეხებაარსენ იყალთოელს და დაბეჭდილია ჟურნალში საპატრიარქოს უწყებანი 1997:62.

ძველი ქართული კლასიკური ხანის სასულიერო მწერლობის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ მოღვაწეს, ფილოსოფოსსა და ღვთისმეტყველს - არსენ იყალთოელს. ჟამთა სიავემ „დავიწყების სიღრმეს“ მისცა ცნობები მისი ბიოგრაფიის შესახებ. თუკი რამ ვიცით, ისიც იმ ფრაგმენტების საშუალებით, რომელიც დაუცავს ძველ ქართულ წყაროებს, რომელთა მიხედვითაც არსენი წარმოშობით ყოფილა კახეთიდან, დაბა იყალთოდან, აქედან მიუღია ზედწოდება იყალთოელი. ამ წოდებით მოიხსენიებენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა არსენს შავ მთაზე მოღვაწეობისას. გადმოცემის მიხედვით, გვარად მაყაშვილი ყოფილა,სხვა ცნობით ვაჩაძე (ვაჩნაძე).

არსენს მიუღია ღრმა და საფუძვლიანი განათლება. არებობს ვერსია, რომ ის იმყოფებოდა იმ ოთხმოც ყმაწვილს შორის, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა კონსტანტინოპოლში წაიყვანა სასწავლებლად. ამ გზით ის მოხვდა კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში, რომელიც XI საუკუნის II ნახევარში წარმოადგენდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში განთქმულ უმაღლეს სასწავლებელს.

არსენ იყალთოელს უწოდებენ „თარგმანსა და მეცნიერს ბერძენთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“ ან „ყოვლად განთქმულს საღმრთოთა წიგნთა თარგმანსა და საქართველოთა ეკლესიათა მნათობს“. ანტონ ბაგრატიონი თავის „წყობილსიტყვაობაში“ მას უწოდებს საქებელ ღვთისმეტყველს, დოგმატიკოსს, ლოგიკოსს, ფიზიკოსს, ჰიმნოგრაფს, ანატომიის მცოდნეს, რომელსაც გონების „სარწყუელად“ ღაწვთაგან „ოქრო სდის, სცრის, წვიმს, შხეფავს საკვირველად“. მისი ოქრო-საყვირისცემს, ჰბერავს, განგუაღვიძებს“.

მანგანის აკადემიიდან არსენი წავიდა შავ მთაზე, სადაც ეფრემ მცირის „მზრდელთა და მსახურთა“ რიცხვში ითვლებოდა და მისი ხელმძღვანელობით მთარგმნელობას სწავლობდა. არსენის მეტაფრასების თარგმნით ისე მოხიბლულა ეფრემ მცირე, რომ მეტაფრასთა კრებულზე ასეთი მინაწერი

გაუკეთებია, „შეუძლებელ კაცთაგან მისდა და მის მიერ (ე.ი. არსენისაგან) თქუენდა შესაძლებელ არს“-ო. შავ მთაზე მოღვაწეობის ჟამს მას უნდა ეთარგმნა რამდენიმე აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური თხზულება.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როდესაც იგი კონსტანტინოპოლში, მანგანის წმიდა გიორგის სახელობის მონატერში ცხოვრობდა, უთარგმნია გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“. აქვე უთარგმნია ფილოსოფიური და პოლემიკურ-დოგმატური ტრაქტატების კრებული „დოღმატიკონი“, რომელიც მოიცავს თითქმის ყველაფერს, რაც საჭიროა ქრისტიანული სარწმუნოების შესასწავლად და სხვადასხვა სარწმუნოებისა და მწვალებლობის განსაქიქებლად. „დოღმატიკონში“ შედის ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, რომელიც შეიცავს ორ ნაწილს - „დიალექტიკასა“ და „გარდამოცემას უცილობელისა მართმადიდებელისა სარწმუნოებისას“, თეოდორე აბუკურას ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრაქტატებს, ანტიმაჰმადიანურ და ანტინესტორიანულ დიალოგებს, კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტითატის და სხვათა პოლემიკურ სტატიებსა და ეპისტოლეებს. „დოღმატიკონი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ ქართულ მწერლობაში, რასაც კრებულის ხელნაწერთა სიმრავლე მოწმობს.

XII საუკუნის დასაწყისში მანგანის მონასტრიდან იგი ჩამოსულა საქართველოში. ამდროს დავით აღმაშენებელი ემზადებოდა დიდი საეკლესიო და სახელმწიფო რეფორმისათვის და როგორც ჩანს, არსენ იყალთოელი, სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად მოუწვევია სამშობლოში. ამ რეფორმისათვის არსენ იყალთოელის მიერ ბერძნული ენიდან ქართულად ითარგმნა 14-ტიტლოვანი ნომო კანონი, ანუ „დიდი სჯულის კანონი“, რომელსაც მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია იყენებს მართვა-ორგანიზაციისათვის. ეს თარგმანი უნდა შესრულებულიყო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამდე. მანვე შეადგინა რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“. კრებამ სახოტბო ეპისტოლე გაუგზავნა დავით მეფეს, ეს ეპისტოლეც არსენმა შეთხზა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მას უმოღვაწია გელათში, კახეთში, სადაც იყალთოს აკადემია დაუარსებია, მონაწილეობა მიუღია შიო-მღვიმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში, იოანე ბერთან ერთად შეუდგენია შიო მღვიმის ტიპიკონი, რომელიც შემდეგ გელათში იქნა მიღებული. შიო-მღვიმეშივე, დავით აღმაშენებლის ბრძანებით ქართულად უთარგმნია ანდრია კრიტელის საგალობელთა კრებული „დიდნი კანონნი“, აქვე დაუწერია წმიდა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია.

არსენი მონაწილეობდა მონოფიზიტ სომეხთა წინააღმდეგგამართულ კამათში. ამის გამო ერთ იამბიკონში არსენ იყალთოელი „სომეხთა პირისდამხშველადაა“ მოხსენიებული. ასევე ფიქრობენ, რომ მას მონაწილეობა უნდა მიეღო ქართველთა და არაბთა სარწმუნოებრივ პაექრობაში. მასვე მიაკუთვნებენ დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას.

არსენ იყალთოელის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ არაფერია ცნობილი. ტრადიციული გადმოცემით ეს წლები მას იყალთოში გაუტარებია.

არსენ იყალთოელმა ქართული ეკლესიისათვის გაწეული ღვაწლის გამო ბრწყინვალე მთარგმნელისა და უაღრესად განსწავლული საეკლესიო მოღვაწის სახელი დაიმკვიდრა.

ამრიგად, გიორგი თავზიშვილი XI-XII საუკუნეების შემდეგ საისტორიო, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გელათის მონასტერთან 1125 წლამდე დაარსდა გელათის აკადემია, რომლის პირველი რექტორი იყო იოანე პეტრიწონელი.

XIX-XX საუკუნის ისტორიულ, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით იზიარებს მოსაზრებას, რომ კახეთში, გრემში დაარსდა 1114 წლის შემდეგ გრემის აკადემია, რომლის პირველი რექტორი იყო იოანე ტარიჭის ძე.

XIX-XX საუკუნის ისტორიულ, სამეცნიერო ლიტერატურაზე და უმეტესწილი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით იზიარებს მოსაზრებას, რომ იყალთოში არსენ იყალთოელის მიერ დაარსდა იყალთოს აკადემია.

§4. ქართული აკადემიების ხელმძღვანელობა და პედაგოგები

ქართულ აკადემიებში სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელების გარკვევამდე გიორგი თავზიშვილი იკვლევს პედაგოგებისათვის რა თანამდებობები არსებობდა XI-XII საუკუნეში საქართველოში. კვლევის შედეგებით დადგინდა შემდეგი:დაწყებითი სკოლის მოწაფეთა საერო აღმზრდელს ეწოდებოდა ოსტატი, ანდა მასწავლებელი. მ.საბანინი გიორგი ათონელის ცხოვრებაში გვ.443 წერს: რათა კაცი საღმრთო იძიონ სულისა მათისა კეთილისა მსწავლელად და უწესობისა დამაყენებლად.

ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტს, რომ ერთმანეთთან არის დაავშირებული სწავლება და აღზრდა. მასწავლებლის მოვალეობა იყო: კეთილის სწავლება და უწესობის გამოსწორება.საეკლესიო-სამონასტრო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად ან კერძო აღმზრდელად ცნობილია მოძღვარი. სიბრძნე ბალავარისა გვ.50 აღნიშნავს: წარვალთ ძიების მოძღვრისა შენისა. ასევე „ხელმწიფის კარის გარიგების“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ძველად მოძღვარი მასწავლებელს ერქვა (ხელმწიფის კარის გარიგებანი, 1920).

უმაღლესი სკოლის მასწავლებელს ეწოდებოდა მოძღვართ-მოძღვარი. ეს სახელწოდება ძველ წყაროებში ბევრთაგან ნახსენები. გიორგი ხუცეს - მონაზონი მოძღვართ-მოძღვარს იყენებს, როგორც სამეცნიერო მოღვაწეებისა და სასულიერო მწერლობის ხელმძღვანელს, ორგანიზატორს.

ასევე ხელმწიფის კარის გარიგებაში მოძღვართ-მოძღვარი მეტად სწავლული და მცოდნე პირია, რომელიც დიდ სამეცნიერო-სასწავლო საქმეს მეთაურობს. ის განათლების მაღალი საფეხურის მოღვაწეა, მაღალი მეცნიერული ცოდნის ხელმძღვანელია.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით მოძღვართ-მოძღვარი უფროსი წინამძღვარია, მოძღვართ-მოძღვარი ნიშნავს მასწავლებელთა-მასწავლებელს, მეცნიერთა-მეცნიერს.

მოძღვართ-მოძღვრებს ჰყავდათ მოწაფეები, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ მოძღვრები ანუ მასწავლებლები, ანდა მეცნიერ მუშაკები, სწავლულები, მოძღვართ-მოძღვარი ერთი არ იყო საქართველოში. სხვადასხვა წყაროებში იხსენიება მოძღვართ-მოძღვარი დავითი (XII 1) დავით მეფის სიგელში იხსენიება გელათის მოძღვართ-მოძღვარი საბა, მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ, მოძღვართ-მოძღვარი მანას და სხვა.

მოძღვართ-მოძღვარები მოღვაწეობდნენ უმთავრესად იქ, სადაც მუშაობდნენ სწავლულები, მეცნიერები და სადაც ყმაწვილები ემზადებოდნენ მოძღვრებად, მასწავლებლად, მეცნიერად. არ არის გამორიცხული, რომ მოძღვართ-მოძღვრები მიწვეულნი იყვნენ სამეფო კარზე შვილების სამოძღვროდ და აღსარდელად.

გიორგი ხუცეს-მონაზონი იხსენიებს გიორგი შეყენებულს , რომელიც შავიმთის ქართული მონასტრის სამეცნიერო მუშაობის წარმმართველია და ხელმძღვანელობს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობას.

მოძღვართ-მოძღვრად იხხსენიება არსენ იყალთოელი, რომელიც იყალთოს აკადემიაში ხელმძღვანელობდა მეცნიერთა და მოძღვართა ჯგუფებს.

„ხელმწიფის კარის გარგება“-ში ვკითხულობთ (XXX) : მოძღვართ-მოძღვარი გელათში ზის, ის მასწავლებელთა მასწავლებელია, მას მოწაფეები ჰყავს.

ახლანდელი ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ აკადემიის რექტორი გელათის ეპისკოპოსია, რომელსაც მოძღვართ-მოძღვრის ხარისხი აქვს. ის ყველაზე უფროსია გელათში. ყველა წყაროში, სადაც გელათის კრებულზეა ლაპარაკი პირველად იხსენიება მოძღვართ-მოძღვარი.

მოძღვართ-მოძღვარი აკადემიის რექტორია და იმავდროულად შეიძლება იყოს მასწავლებელიც ანუ პროფესორი. ამ ტერმინს ნ.ურბნელი იყენებს და წერს: თვითოეულ ქართულ აკადემიას ჰყავდა უფროსი პროფესორი, რომელსაც სასწავლებლის მართვა და გამგეობა ეკუთვნოდა (ნ.ურბნელი-დავით აღმაშენებლი :20).

მოძღვართ-მოძღვრები ექვემდებარებოდნენ მეფეს და არა მწიგნობართუხუცესს (ჭყონდიდელს), რომლის ინსტიტუტი XII საუკუნის დასაწყისიდან იქნა შემოღებული.

აღმოსავლეთის ველურ მონღოლთა შემოსევის გამო დაეცა XII საუკუნეში დაარსებული აკადემიები, მოძღვართ-მოძღვრის თანამდებობა თუ პროფესორის (წოდება)კვლავ რჩება (მაგალითად ნიკიფორე ჩოლოყაშვილი XVII საუკუნე), მაგრამ მის მოღვაწეობას უმაღლესი სკოლა-აკადემია აღარ აქვს საფუძვლად, არამედ ის არის ინდივიდუალური ხელმძღვანელი მოძღვრებისა, როგორც მონასტრებში, ისე საერისკაცო დაწესებულებებში და დიდგვაროვანთა სასახლეში.

აქვე განვიხილავთ უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდების მიერ სწავლის დაწყების ასაკს.

გიორგი თავზიშვილი სვამს პრობლემას: რა ასაკის ახალგაზრდობა სწავლობდა ან იწყებდა მეცნიერულ მუშაობას XII საუკუნის ქართულ აკადემიებში.იგი ეყრდნობოდა ცნობას (საბანინი საქართველოს სამოთხე გვ. 437-488, ათონის კრებული გვ.467), რომლის მიხედვით მონასტრებში ბერ-მონაზვნები აღიკვეცა, უწვერულო ახალგაზრდებს არ შეეძლოთ. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: ხოლო იყო იგი ჭაბუკი ასაკითა და წუთ არა აქუანდა მეცნიერება ბერისა თანა. სავარაუდოა, რომ ჭაბუკობის

(17) წლის ასაკის გავლის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ასაკი განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო. პარალელისათვის აღსანიშნავია, რომ უცხოურ აკადემიებში სწავლის დაწყების ასაკი 16-18წელი იყო.

ეს ასაკი - 17წელი არ ნიშნავს სამეცნიერო მუშაობის დაწყების ასაკს. ეს არის უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ასაკი ანუ სამეცნიერო მუშაობისა მოზარდების დაწყება. მაგალითად, გიორგი ათონელი შავი მთის მონასტერში გიორგი შეყენებულს დაემოწაფა ხახულის მონასტერში 3წლით და კონსტანტინოპოლის ფილოსოფოს-რიტორებთნ თორმეტი წლის სწავლის შემდეგ, როცა იგი 25 წლისა იყო, მხოლოდ ამას შემდეგ შეიქმნა აშკარა მისი ტალანტი და მეცნიერული მუშაობისათვის მზაობა.

XI-XII საუკუნის საქართველოში მასწავლებელს მოიხსენიებდნენ შემდეგი ტერმინებით: დაწყებითი სკოლის მოწაფეთა საერო აღმზრდელს ეწოდებოდა ოსტატი, მასწავლებელი ან მოძღვარი, რომელსაც ევალებოდა კეთილის სწავლება და უწესობის გამოსწორება, აქ ერთმანეთს უკავშირდება სწავლება და აღზრდა.

უმაღლესი სკოლის მასწავლებელს ეწოდებოდა მოძღვართ-მოძღვარი (მასწავლებელთა მასწავლებელი). მოძღვართ-მოძღვარი იყო სწავლული და მცოდნე პირი, რომელიც სასწალო სამეცნიერო საქმეს მეთაურობდა. მოიხსენება უფროსი პროფესორი, რომელსაც სასწავლებლის მართვა და გამგეობა ევალებოდა და პროფესორი, რომელიც მასწავლებელიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამგვარად, ქართულ აკადემიას ხელმძღვანელობდნენ მოძღვართ-მოძღვარნი, ისინი იყვნენ რექტორებიც და მასწავლებლებიც, პროფესორები.

აკადემიებში ასწავლიდნენ მოძღვართ-მოძღვართა მოწაფენი, მასწავლებლები, პროფესორები.

აკადემიის ხელმძღვანელი მოძღვართ-მოძღვარი მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა.

აკადემიებში სწავლის დაწყების ასაკი არის 17წელი, მანამდე მას უნდა ჰქონოდა სათანადო ცოდნა პირველ დაწყებითი განათლება, სამეცნიერო მუშაობის დაწყების პერიოდად მიჩნეულია 24-25წელი.

§5. აკადემიების სტრუქტურა და სასწავლო გეგმები

გიორგი თავზიშვილის გამოკვლევით ქართული აკადემიების სტრუქტურაში არ ჩანს სასწავლო საგნების შესწავლის გადანაწილება ფაკულტეტების მიხედვით. სავარაუდოდ არსებობდა განყოფილებები ანუ დარგები, რომლებიც საერო საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ მეცნიერებათა გარდა სხვადასხვა სპეციალურ დისციპლინებს აერთიანებდნენ და გარკვეული ცოდნის სპეციალისტებსაც ამზადებდნენ.

სავარაუდოდ საფიქრებელია, რომ ისწავლებოდა ფილოსოფია,რიტორიკა, გრამატიკა, ასტრონომია, საღვთისმეტყველო საგნები.

საქართველოს აკადემიების სასწავლო გეგმების დადგენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმ დისციპლინებს, რომლებიც შემდგომ მეფე ვახტანგ VI, სამართლის წიგნში იქნა შეტანილი, როგორც სავალდებულო ნორმა: წიგნნი არიან სასწავლო კაცისა: პირველი არის რიცხვთა ცნობა, მეორე მუსიკა, რომელი არს საგალობელი, მესამე ქვეყნის აღრიცხვა, მეოთხე ვარსკვლავთმრიცხველობა. ე.ი. მათემატიკა, მუსიკა, გეოგრაფია და ასტრონომია.

თუ მათემატიკაში ვიგულისხმებთ არითმეტიკასა და გეოგრაფიას, მაშინ გეოგრაფიისგამოკლებით (მუსიკა, გეომეტრია, ასტრონომია) ძირითადად საქმე ეხება იმ საგნებს, რომელიც უცხოეთის საუკუნის უმაღლესი სკოლის მინიმუმს შეადგენდა.

საქართველოს უმაღლეს სკოლებში მათემატიკას, მუსიკას, გეოგრაფიას, ასტრონომიას ემატებოდა კიდევ სჯული ჭეშმარიტი და ფილოსოფოსება, მამათა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება აღივანისა ანუ ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ისტორია, რომელიც XIII საუკუნეში ეპისკოპოსმა კირილე დონაურმა სავალდებულო გაუხადა მონასტერთა და შვილთა სასწავლებლად.

XII საუკუნეში ფართოდ გავრცელდა ენათმეცნიერება, მედიცინა, დიდაქტიკა, ხელოვნება, იურისპრუდენცია. ამის გათვალისწინებით XII საუკუნის აკადემიების სასწავლო გეგმები სავარაუდოდ მომცველი იყო ისეთი საგნებისა, როგორიცაა:

- ღვთისმეტყველება
- ფილოსოფია
- ისტორია (საქართველოსი და უცხოური ქვეყნებისა)
- იურისპრუდენცია (სამართალი, სჯული)
- ხელოვნება (პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება)
- ენათმეცნიერება (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და ენები: ირანული, არაბული, ბერძნული
- მათემატიკა (ფიზიკით)
- ასტრონომია
- გეოგრაფია
- მუსიკა
- დიდაქტიკა.

ცხადია ყველა ეს საგანი ყველა აკადემიაში არ ისწავლებოდა. იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც საერთო სქემა.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ საგნებში იყვნენ სპეციალისტები. მაგალითად არსენ იყალთოელი ანტონ კათალიკოსის დახასიათებით: არსენი ბრწყინვალე, მშვენიერი,მჭერმეტყველი-რიტორიკა, მუსიკასავით მსტვენი ხმით. ღვთისმეტყველება მის არს საქები, ფიზიკა, ანატომია, ფილოსოფია ხედვითი პრაქტიკითურთ წამოჩინდება, შაირნი-ოქრო წახნაგებული.

სასწავლო გეგმის უზრუნველყოფა დამოკიდებული იყო როგორც პროფესორ მასწავლებლებზე, ასევე მოსწავლეებზე.

მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, გიორგი თავზიშვილის პოზიციით თუ გავითვალისწინებთ აკადემიებში ნათარგმნი და გადაწერილი ლიტერატურის ოდენობას, აკადემიების გარეშე არსებულ მწიგნობართა ინსტიტუტებს და მწიგნობრებს, რომლებშიც ამავე აკადემიებში მზადდებოდნენ, დაწყებითი სკოლების მოძღვრებსა და ოსტატებს, რომლებიც აკადემიებიდან გამოდიოდნენ და მრავალრიცხოვან ლიტერატორებს, მკურნალებს, სჯულის მცოდნეები, საეკლესიო მსახურთ უნდა ვიფიქროთ , რომ ქართულ აკადემიებში მისაღებ და გამოსაშვებ მოსწავლეთა კონტიგენტი 100-ზე მეტ რიცხვს შეადგენდა.

ამ დასკვნით გიორგი თავზიშვილი არ იზიარებს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დასახელებულ რიცხვს-700 და იგი მიაჩნია ივერთა მონასტრის ბერ-მონაზონთა რიცხვის გადაჭარბებულად გადმოეტანა იყალთოსა და გელათის აკადემიებზე.

მოსწავლეთა კონტიგენტის სოციალური შემადგენლობის განსაზღვრისათვის გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სკოლები და განათლება XI_XII საუკუნის საქართველოში საყოველთაო ხასიათისაა. პირველდაწყებითი განათლების უფლება ჰქონდა ყველას, განურჩევლად სოციალური და წოდებრივი მდგომარეობისა. პოლიტიკურად ამ გარემოებას ხსნის შემდეგნაირად: დაწყებითი განათლება უმთავრესად საეკლესიო-რელიგიურია, ხოლო ეკლესიას მიზნად აქვს ახალგაზრდობა მოამზადოს არა მარტო ღვთის რწმენით, არამედ აგრეთვე მეფისათვის თავდადებისა და უანგარო სიყვარულის საფუძველზე. საეკლესიო და მეფის ხელისუფლება აგებს საყოველთაო სკოლებს და ობოლთა თავშესაფარ სახლებს (ხანაგებს).

საფიქრებელია, რომ აკადემიებში , სადაც სწავლა და სამეცნიერო მუშაობა 8-10 წელი გრძელდებოდა სოციალურად დაბალ ფენაშიმყოფი ახალგაზრდები ვერ შესძლებდენ სწავლას, რადგან მათი რწმენა ოჯახს არ შეეძებოდა. ამასთან წყაროები ცხადყოფს, რომ XI-XIIსაუკუნის ქართული აკადემიის

კურსდამთავრებული და იქ მოღვაწე პირები აბსოლუტური უმრავლესობით არიან მაღალი საეკლესიო წოდებისა და საერო არისტოკრატიის წარმომადგენლები.

ამრიგად, ქართული აკადემიის სასწავლო გეგმები მოიცავდა ისეთ სასწავლო საგნებს როგორიცაა:

- ✓ ღვთისმეტყველება
- ✓ ფილოსოფია
- ✓ ისტორია (საქართველოსი და უცხო ქვეყნებისა)
- ✓ მედიცინა (ბუნებისმეტყველებით)
- ✓ იურისპრუდენცია (სამართალი, სჯული)
- ✓ ხელოვნება (პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება)
- ✓ ენათმეცნიერება (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და ენები: ირანული, არაბული, ბერძნული)
- ✓ მათემატიკა (ფიზიკით)
- ✓ ასტრონომია
- ✓ გეოგრაფია
- ✓ მუსიკა
- ✓ დიდაქტიკა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა საგანი ერთ აკადემიაში შეიძლება არ ისაწავლებოდა.

XI-XII საუკუნეში პირველდაწყებითი განათლება საყოველთაო იყო. პირველდაწყებითი განათლების მიღების უფლება ჰქონდა ყველას, განურჩევლად სოციალური და წოდებრივი მდგომარეობისა.

ქართული აკადემიების ძირითად კონტიგენტს წარმოადგენდა შემლებული კლასის, ანუ მაღალი საერო და საეკლესიო არისტოკრატიიდან გამოსული ახალგაზრდობა.

პედაგოგიური განათლების თეორიასა და პრაქტიკას ძველ ქართულ აკადემიებში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. აქ ვხვდებით პედაგოგიკის როგორც თეორიულ, ისე სწავლების პროცესის დიდაქტიკურ ღონისძიებებს.

პედაგოგიური განათლება იწყება ათონიდან და მოდის გელათამდე. პედაგოგიური აზრის განვითარებას იწყებენ გიორგი მთაწმინდელი და მისი ბიოგრაფიის აღმწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი.

გიორგი მთაწმინდელისა და გიორგი ხუცეს-მონაზონის პედაგოგიური იდეებიდან შეიძლება აღინიშნოს: სიყრმის პერიოდამდე ბავშვის ფიზიკური აღზრდისა და გონებრივი განვითარების ჰარმონია მათი თანაზომიერი ასაკობრივი შეფარდების საფუძველზე, ხოლო სიყრმიდან შესაძლებელია ცვლილება ასაკის უფრო სწრაფი განვითარების აღიარებით.

სწავლის მიზნობრივი დანიშნულების წინასწარ განზრახვა, დაგეგმვა აუცილებლად იყო მიჩნეული მომავალი მოღვაწეების თვალსაზრისით.

მასწავლებელთა შერჩევა მაღალი განათლებისა და ზნეობრივი სისპეტაკის მიხედვით.

თეორიული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და სიტყვის დაკავშირება საქმესთან.

ახალგაზრდობის ასაკის აღიარება სწავლა-განათლების მიღების საუკეთესო პერიოდი.

დიდაქტიკური მოსაზრებებიდან აღსანიშნავია ინტერესისა და ყურადღების დიდი მნიშვნელობა სწავლების დროს და ამ მიზნითსაკითხავი და გადასაცემი მასალის შერჩევა.

უცხო ენის შესწავლამდე მშობლიური ენის კარგად ცოდნა, როგორც საფუძველი მისი კარგად შესწავლისა.

დისციპლინის დაცვის აუცილებლობა, მასწავლებელთა ავტორიტეტი.

აღსანიშნავია, რომ გიორგი თავზიშვილი იმ ათეისტურ პერიოდში საკმაოდ თამამ აზრებს და შეხედულებებს გამოთქვამს, თუმცა ბოლომდე არ არის ათეისტური გავლენისაგან თავისუფალი და ნეგატიურად მიაჩნია საღვთისმეტყველო განათლების აუცილებლობად წარმოსახვა ადამიანის სულიერი განვითარებისათვის.

ამგვარი გაგებისაგან არც თანამედროვეობაა დაზღვეული, თუმცა საუკუნეებმა და საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადად აჩვენა, რომ ადამიანებს სწორედ სულიერი განვითარება გადაარჩენს, რომელიც ყველაზე უკეთ საღვთისმეტყველო განათლებაშია წარმოჩენილი.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ათონის ქართული სამეცნიერო სკოლა დაარსდა X საუკუნის დასასრულს, მისი აღმოცენების კულტურული საფუძვლები შეიქმნა საქართველოში, ტაო-კლარჯეთში დიდი განმანათლებლის წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით.
- გიორგი თავზიშვილი XI-XII საუკუნეების შემდეგ საისტორიო, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გელათის მონასტერთან 1125წლამდე დაარსდა

გელათის აკადემია, რომლის პირველი რექტორი იყო იოანე პეტრიწონელი.

- XIX-XX საუკუნის ისტორიულ, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით გიორგი თავზიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ კახეთში, გრემში დაარსდა 1114წლის შემდეგ გრემის აკადემია, რომლის პირველი რექტორი იყო იოანე ტაიჭისძე.
- XIX-XX საუკუნის ისტორიულ, სამეცნიერო ლიტერატურაზე და უმეტესწილი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით იზიარებს მოსაზრებას, რომ იყალთოში არსენ იყალთოელის მიერ დაარსდა იყალთოს აკადემია.
- ქართულ აკადემიას ხელმძღვანელობდნენ მოძღვართ-მოძღვარნი, ისინი იყვნენ რექტორებიც და მასწავლებლებიც ანუ პროფესორები.
- აკადემიებში ასწავლიდნენ მოძღვართ-მოძღვართა მოწაფენი, მასწავლებლები, პროფესორები.
- აკადემიის ხელმძღვანელი მოძღვართ-მოძღვარი მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა.
- აკადემიებში სწავლის დაწყების ასაკი არის 17 წელი, მანამდე მას უნდა ჰქონოდა სათანადო ცოდნა პირველდაწყებითი განათლება.
- სამეცნიერო მუშაობის დაწყების პერიოდად მიჩნეულია 24-25წელი.
- XI-XII საუკუნეში პირველდაწყებითი განათლება საყოველთაო იყო. პირველდაწყებითი განათლების მიღების უფლება ჰქონდა ყველას, განურჩევლად სოციალური და წოდებრივი მდგომარეობისა.
- დაწყებითი განათლება უმთავრესად საეკლესიო-რელიგიურია, ხოლო ეკლესიას მიზნად აქვს ახალგაზრდობა მოამზადოს არა მარტო ღვთის რწმენით, არამედ აგრეთვე მეფისათვის თავდადებისა და უანგარო სიყვარულის საფუძველზე. საეკლესიო

და მეფის ხელისუფლება აგებს საყოველთაო სკოლებს და ობოლთა თავშესაფარ სახლებს (ხანაგებს).

- ქართული აკადემიების ძირითად კონტიგენტს წარმოადგენდა შეძლებული კლასის, ანუ მაღალი საერო და საეკლესიო არისტოკრატიიდან გამოსული ახალგაზრდობა.
- XI-XII საუკუნის საქართველოში მასწავლებელის აღმნიშვნელი ტერმინები იყო: დაწყებითი სკოლის მოწაფეთა საერო აღმზრდელს ეწოდებოდა ოსტატი, მასწავლებელი ან მოძღვარი.

რეკომენდაციები

გიორგი თავზიშვილის კვლევების შედეგების განხილვამ წარმოაჩინა ისეთი თემების კვლევის აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს საგანმანათებლო სისტემის უძველეს პრობლემასთან.

შემოგთავაზებთ საკვლევი პრობლემების ჩემეულ ჩამონათვალს:

- გიორგი მთაწმინდელის პედაგოგიური შეხედულებები
- ათონის აკადემიის გამოცდილების შესწავლა თანამედროვე გადასახედიდან
- მასწავლებლის შერჩევის მახასიათებელი ძველ ქართულ აკადემიებში
- დაწყებითი განათლება XI-XII საუკუნის საქართველოში
- ძველი საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მკვლევარები.
- პედაგოგირი თანამდებობები XI-XII საუკუნის საქარველოში.

ლიტერატურის დასახელება

1.გ. თავზიშვილი. - „რჩეული ნაწერები“ ტომი I – 1974

2. გ. თავზიშვილი. –„რჩეული ნაწერები“ ტომი II-1974

3. გ. თავზიშვილი.- „იაკობ გოგებაშვილი“ 1975წელი

4. გ.თავზიშვილი. - უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში 1948წელი

5. იაკობ გოგებაშვილის ათტომეული გ. თავზიშვილის რედაქტორობით 1952წელი

6. გ.თავზიშვილი. – „აკაკი წერეთელი და სახალხო განათლება - 1950წელი

7. იოსებ ბოცვაძე. - გიორგი თავზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა - 1973წელი

8. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა - 2020წელი

9. ა. გობრონიძე. - პედაგოგიური კვლევის მეთოდები წიგნში - „პედაგოგიკა“ 2000

11. ქართული ენციკლობედია 1973წელი

12. საქართველოს განათლების მატიანე- 2016წელი.